The fact that the number of private automobiles in the world increases daily, reminds us once again of how comfortable it is to get around driving our own cars. All car owners are familiar with this feeling and it's probably particularly noticeable in winter, when, despite rain and bad weather, people sitting at the wheel of their cars travel around the city in a calm and comfortable manner. However, comfort is not a firm category and can easily be replaced by an unexpected discomfort if automobile owners don't prepare ahead for the approaching winter season.






# როგორ მოვამზადოთ ავტომობილი ზამთრისთვის?

**ის ფაქტი,** რომ მთელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობს კერძო ავტომობილების რაოდენობა, კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რამდენად კომფორტულია საკუთარი ავტომობილით გადაადგილება. ამ შეგრძნებას ყველა ავტომფლობელი კარგად იცნობს და ეს განსაკუთრებით, ალბათ, მაინც ზამთარში შეიგრძნობა, როდესაც, წვიმისა და უამინდობის მიუხედავად საჭესთან მსხდომი ადამიანები მშვიდად და კომფორტულად გადაადგილდებიან ქალაქში. თუმცა კომფორტი არ არის მყარი კატეგორია და შესაძლოა, ის მოულოდნელმა დისკომფორტმა შეცვალოს თუ ავტომფლობელები, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ავტომობილის სათანადო მომზადებისათვის თადარიგს არ დაიჭერენ.

> ავტომობილისთვის ზამთარი მაშინ მოდის, როდესაც ტემპერატურა +7 გრადუს ცელსიუსამდე ჩამოვა

ავტომობილს მართლაც სჭირდება სათანადო მომზადება, რადგან, საპირისპირო შემთხვევაში, საფრთხე არა მარტო კომფორტს, არამედ მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებასაც ემუქრება. იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილის ერთადერთი დეტალი, რომლითაც ასფალტის ზედაპირს ეხება, საბურავია, ამ უკანასკნელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და სეზონის შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვნია მისი სწორად შერჩევა.

მძღოლისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ საბურავები სეზონურად არის დიფერენცირებული; თუმცა ბევრი ავტომფლობელი ამ ფაქტს ან უგულებელყოფს, ან მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში ახსენდება. არსებობს ზაფხულისა და ზამთრის საბურავები და მათ შორის განსხვავება დიდია, რადგან თითოეული მათგანი შესაბამის სეზონზეა ვარგისი. ამ ფაქტის უგულებელყოფა კი მრავალ გართულებას იწვევს, რაც რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათოც კი აღმოჩნდეს.

Automobiles really do need appropriate preparations, since otherwise it is not only comfort but also the safety of the driver and passengers that are in danger. Considering the fact that tires are the only automobile part in touch with the surface, many things depend on them and matching their selection with the season is rather important.

It is no secret to drivers that tires are differentiated by the season. However, many automobile owners disregard this fact, or remember it only in critical situations. There are winter and summer tires and there's a big difference between them, since both are useful only throughout a particular season. Ignoring this can cause many complications, which, in many cases can turn out to be of danger to human life.

"During bad weather conditions, in rain and snow, when an automobile moves slowly, it works on a high capacity. Threat increases since the automobile can skid all of a sudden," – says Diana Velengurskaya, the Public Relations Manager for Tegeta Motors and notes that drivers often wait for snow to fall and install winter tires only after it, which is a wrong approach to the matter.

The fact is that winter for an automobile is here once temperature falls to +7 degrees Celsius. The chemical composition of tires changes and summer tires become unfit for winter. The benefit of winter tires in this case, is thatit has a large adhesion capacity, which is directly proportional to the breaking distance. When summer tires are used in winter, breaking distance increases 3-4 times; this dangerous for passenger safety. Considering the chemical composition of summer tires, they become rigid in winter, decreasing the adhesion capacity. With



„უამინდობის დროს, წვიმასა და თოვლში, როდესაც ავტომობილი ნელა გადაადგილდება, დიდი დატვირთვით მუშაობს. საფრთხე იზრდება, რადგან შესაძლოა, ავტომობილი მოსრიალდეს," – ამბობს დიანა ველენგურსკაია, „თეგეტა მოტორსის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და აღნიშნავს, რომ მძღოლები, ხშირად, თოვლის მოსვლას ელოდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ზამთრის საბურავების დაყენებას, რაც არასწორი მიდგომაა.

საქმე ის არის, რომ პირობითად, ავტომობილისთვის ზამთარი მაშინ მოდის, როდესაც ტემპერატურა +7 გრადუს ცელსიუსამდე ჩამოვა. ამ დროს საბურავის ქიმიური შემადგენლობა იცვლება და ზაფხულის საბურავი ზამთარში გამოუსადეგარი ხდება. ზამთრის საბურავის უპირატესობა, ამ შემთხვევაში, ის არის, რომ მისი მოჭიდების მაჩვენებელი დიდია, რაც სამუხრუჭე მანძილის შემცირების პირდაპირპროპორციულია. ზამთარში, ზაფხულის საბურავების გამოყენების შემთხვევაში, სამუხრუჭე მანძილი 3-4-ჯერ იზრდება, რაც მგზავრის უსაფრთხოებისთვის სახიფათოა. ზაფხულის საბურავის ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე, ზამთარში ის უფრო ხისტი ხდება, რაც ამცირებს მოჭიდების მაჩვენებელს. მოყინულ საფარზე კი შესაძლოა, სამუხრუჭე მანძილი გასამმაგდეს კიდეც.

არც ზამთრის საბურავის გამოყენებაა რეკომენდებული ზაფხულში, რადგან იგი ადვილად ცვდება. გარდა ამისა, ანალოგიურად იზრდება სამუხრუჭე მანძილი და ავტომობილის მართვა უფრო არამდგრადი ხდება. ზამთრისა და ზაფხულის საბურავების ერთმანეთისაგან გარჩევა ფიზიკური მახასიათებლებით არის შესაძლებელი: ზამთრის საბურავებს

ზაფხულის საბურავის ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე, ზამთარში ის უფრო ხისტი ხდება, რაც ამცირებს მოჭიდების მაჩვენებელს

გვერდით ფიფქის ნიშანი აქვთ დატანილი და, ამავდროულად, ყოველ მათგანს აქვს წარწერა – M+S, ანუ Mud+Snow (ტალახი+თოვლი). აღსანიშნავია, რომ ეს წარწერა დატანილია გარკვეული ტიპის ყველა სეზონზე გათვლილ საბურავებზეც, თუმცა ზამთრის საბურავზე იგი აუცილებლად არის გამოსახული.

იმისათვის, რომ ავტომფლობელმა გადაადგილებისას თავი დაცულად იგრძნოს, საჭიროა, შეამოწმოს და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს საბურავები. „თეგეტა

these givens breaking distance might triple on a frozen ground.

Winter tires are not recommended for use in summer either, since they wear out easily. Winter and summer tires can be distinguished based on physical characteristics: winter tires have a snowflake on the side and at the same time, all of them have an inscription M+S which stands for Mud + Snow. It must be noted that this inscription is also made on some tires intended for all seasons, yet it is definitely there on winter tires. In order for the owner of a car to feel safe during transportation, they should check and change tires if necessary. Customers have the chance to test the level to which their automobile spare parts are intact at Tegeta Motors and receive recommendations from competent individuals through diagnostics. Diana Velengurskaya notes that Tegeta Motors has eighteen years of experience in this field and customers can use these services in 16 branch offices across Georgia. "Our experience will help customers select each product with the advice from professionals. Aiming to take care of our customers, we often arrange information actions and call upon them to start their preparations for winter in autumn. This year Tegeta Motors offers the lowest price on winter tires," – Diana says.




მოტორსის" სერვისცენტრებში მომხმარებელს ეძლევა საშუალება, შეამოწმოს, მწყობრშია თუ არა ავტომობილის სათადარიგო ნაწილები და დიაგნოსტირების საშუალებით მიიღოს რეკომენდაციები კომპეტენტური პირებისაგან. დიანა ველენგურსკაია აღნიშნავს, რომ „თეგეტა მოტოტრსს" ამ სფეროში მუშაობის თვრამეტწლიანი გამოცდილება აქვს და მომხმარებლისთვის ამ სერვისებით სარგებლობა საქართველოს მასშტაბით არსებულ 16 ფილიალშია შესაძლებელი. „ჩვენი გამოცდილება მომხმარებელს დაეხმარება, პროფესიონალების რჩევით შეარჩიოს თითოეული პროდუქტი. მომხმარებელზე ზრუნვის მიზნით, ხშირად



ვაწყობთ საინფორმაციო აქციებს და მოვუწოდებთ მათ, შემოდგომიდანვე დაიწყონ ზამთრისათვის მზადება. წელს „თეგეტა მოტორსი" საბურავებზე ყველაზე დაბალ ფასებს სთავაზობს მომხმარებელს," – ამბობს დიანა.

„თეგეტა მოტორსის" ავტოექსპერტი, ზურა ბეჟაშვილი, ავტომობილის ზამთრისათვის მომზადებისას გასათვალისწინებელ სხვა ფაქტორებზეც საუბრობს. უკვე ორი წელია, რაც ის „თეგეტა მოტორსის" სახელით გამოდის საავტომობილო რბოლებში და ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის სახელს ატარებს. „მომხმარებელმა უნდა გაზომოს საბურავის პროტექტორის სიმაღლე. თუ მისი მაჩვენებელი 1,6 მმ-ზე ნაკლებია, მაშინ აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ზომებია მიღებული, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე," – ამბობს ზურა.

ეს პროცედურა განსაკუთრებით მაშინ არის აუცილებელი, როდესაც ავტომფლობელი გასული წლის საბურავებს იყენებს. ახალი საბურავის გამოყენება რეკომენდებულია იმდენად, რამდენადაც სველ ამინდში დიდია აკვაპლანირების საფრთხე;

კერძოდ, როდესაც ავტომობილი გუბეში სწრაფად გაივლის, ავტომობილი უმართავი ხდება, რაც შესაძლოა ავტოსაგზაო

Tegeta Motors automobile expert, ZuraBezhashvili spoke of other factors to be taken into account during your preparations for the winter. It's been two years that he has been participating in automobile races on behalf of Tegeta Motors, carrying the name of the most

შემთხვევის მიზეზიც გახდეს. ახალი საბურავი კი წყლის მეტ გამტარიანობას უზრუნველყოფს და ამცირებს აკვაპლანირების რისკებს. რომ შევაჯამოთ, საბურავის გამოცვლისა და ახლით ჩანაცვლებისათვის ორი მიზეზი არსებობს: პროტექტორის სიმაღლე და საბურავის სიძველე.

ბაზარზე საბურავების ფასების ინდიკატორი მათი ზომა და ბრენდია. „თეგეტა მოტორსში" საბურავების ფასი 85 ლარიდან



## Tegeta Motors offers a tire storage service

titled sportsman. "Our customers should measure the height of the tire protector. If it is less than 1.6 mm then the tires must be replaced, although different countries have different standards for that depending on climate conditions," – Zura says.This procedure is particularly necessary when an automobile owner uses tires from the previous year. Using new tires is recommended since there's high risk of aquaplaning in wet weather conditions; particularly, when a car rides through a puddle on a high speed, the car becomes uncontrollable, which could become reason for a car accident. While new tires ensure better water permeability and reduce risks

იწყება. როგორც დიანა ველენგურსკაია აღნიშნავს, „თეგეტა მოტორსში" ყველაზე დაბალი ფასებია, რადგან მომხმარებელს უნდა მიეცეს საშუალება, უსაფრთხოდ იმგზავროს. კომპანიაში შესაძლებელია, როგორც პრემიუმ ბრენდების პროდუქციის (Bridgestone, Michelin), ისე საშუალო სეგმენტზე გათვლილი პროდუქტის შეძენა.

„თეგეტა მოტორსს" აქვს საბურავების შენახვის სერვისი. „ადამიანები საბურავებს ზოგჯერ საძინებელში ინახავენ, რაც ჯანმრთელობისთვის არ არის სასარგებლო; ზოგჯერ არ აქვთ პირობები, რომ ავტოფარეხში შეინახონ. საბურავს, შესანახად სჭირდება სპეციალური პირობები და ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ამიტომაც, მომხმარებლებს ამ სერვისს ვთავაზობთ," – ამბობს დიანა.

საბურავების გარდა, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ავტომფლობელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გამაგრილებელ სითხეს, ე.წ. „ანტიფრიზს." ეს არის გაყინვის საწინააღმდეგო სპეციალური სითხე, რომელსაც შეზეთვის და ანტიკოროზიული ფუნქციები აკისრია. თავის მხრივ „ანტიფრიზიც" დიფერენცირებულია ფერების მიხედვით და ქარხანა-მწარმოებლები მიგვითითებენ, თუ რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ. როგორც ზურა ბეჟაშვილი აღნიშნავს, წითელი „ანტიფრიზი" საუკეთესოა, თუმცა ის ყველა ავტომობილში არ გამოიყენება.

პერიოდულად, აუცილებელია „ანტიფრიზის" შეცვლა და ზამთრის მოახლოებასთან ერთად, საჭიროა გაზომვაც. თუ

of aquaplaning. To sum up, there are two reasons to change tires: protector height and how old the tires are.

Tire size and brand are the price indicators on the market. Tire prices start at 85 GEL at Tegeta Motors. According to Diana, Tegeta Motors offers the lowest prices, because customers should have the chance to drive safely. Premium brand products (Bridgestone, Michelin) as well as products targeted at the middle segment are available at the company.

Tegeta Motors offers a tire storage service. “People sometimes keep car tires in their bedroom, which is not very healthy; sometimes they cannot store them in a garage. Tires require particular storage conditions and a temperature regime. So we provided this service for our customers,” – Diana says.

With the approach of winter, automobile owners should also pay attention to the cooling liquid, the so-called antifreeze. “This is a special liquid against freezing, with lubrication and anticorrosion functions. Antifreeze is also differentiated. Manufacturers indicate which one is appropriate to our case through colors. As Zura Bezhashvili notes, red is the best antifreeze, although it is not suited for all automobiles.

Antifreeze should also be changed periodically and measured as winter approaches. If it’s on a low percentage, we should add some more antifreeze of the same color and brand, varied between 35% and 50%. “35% indicates that it is mixed 2:1, thus one part is antifreeze (a special concentrate) and the other is – distilled (or regular) water; when we mix with the proportion 1:1 we end up with a 50% mix,” – Zura noted. It should be kept in mind that percentage does not indicate the durability degree. If antifreeze is on a low degree, it could cause series of problems such as engine malfunctioning, water pump damage etc. It is to be noted that antifreeze is necessary winter through summer, because it’s an anticorrosion fluid lubricating the water pump.

აღმოჩნდება, რომ მისი პროცენტულობა დაბალია, სასურველია, დავუმატოთ იგივე ფერისა და ბრენდის „ანტიფრიზი,“ რომელიც 35-დან 50%-მდე უნდა მერყეობდეს. „35% ნიშნავს, რომ შეზავება ხდება 2:1, ანუ ერთი წილი „ანტიფრიზია“ (სპეციალური კონცენტრატი), მეორე კი – გამოხდილი (ან ჩვეულებრივი) წყალი. როდესაც ვაზავებთ 1:1, მიიღება 50%-იანი ნაზავი,“ – აღნიშნავს ზურა. საგულისხმოა, რომ, ამ შემთხვევაში, პროცენტი გრადუსის გამძლეობის მაჩვენებელი არ არის. თუ „ანტიფრიზი“ დაბალ გრადუსზეა, ამან შესაძლოა მთელი რიგი პრობლემები გამოიწვიოს, როგორებიცაა ძრავის არ ამუშავება, წყლის ტუმბოს დაზიანება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ანტიფრიზი ზამთარ-ზაფხულ არის საჭირო, რადგან ეს არის ანტიკოროზიული სითხე, რომელიც წყლის ტუმბოს ზეთავს.

თუ ზაფხულის პერიოდში საქარე მინის საწმენდად რეგულარული შამპუნი გამოიყენება, ზამთრის შემთხვევაში კიდევ უფრო სპეციალიზებული სითხეა საჭირო



კიდევ ერთი, ზამთრის მოსვლამდე გასათვალისწინებელი პროცედურაა ყუმბარის მტვერდამცავების შემოწმება. თუ ისინი დაზიანებულია, წვიმის დროს გამოირეცხება საპოხი მასალა და პრობლემა მაშინვე იჩენს თავს. მათი შემოწმება ყოველთვიურადაა რეკომენდებული, თუმცა, განსაკუთრებით ზამთრის დადგომამდე.

Another procedure to keep in mind before winter comes is the testing of the drive shaft boot. If damaged, the lubricant will be washed down during rain and problems will occur instantly. It is recommended that you check it monthly, but particularly before winter.

If regular shampoo is appropriate for cleaning the windshield in summer, it takes a more specialized liquid in winter – antifreeze mixed with shampoo, so that the liquid does not freeze.

Another recommendation Zura Bezhashvili has for automobile owners is to fill up the fuel tank to the maximum, although he himself noted that there's a big difference between filling it and overfilling it, since the latter is quite dangerous. "If someone ends up in a car crash in winter as they are heading out of the city, without any chance to contact anyone for help, it is important that the tank is full, for it to be enough to operate the heater. The tank must not be overfilled, since petrol might flow out of the air tube intended to release gas – and that is very dangerous." – Zura says.

The proper functioning of the heater is also closely linked to passenger safety, since the windows sweat if it malfunctions. There is special powder and liquid for the repairs of damaged radiators, but it is important that they are used in appropriate quantities, since overusing will cause damaging of the heater radiator.

Receiving consults on these and other subject and automobile diagnostics are possible at any Tegeta Motors branch.

## Winter for an automobile is here once temperature falls to +7 degrees Celsius

თუ ზაფხულის პერიოდში საქარე მინის საწმენდად რეგულარული შამპუნი გამოიყენება, ზამთრის შემთხვევაში კიდევ უფრო სპეციალიზებული სითხეა საჭირო, კერძოდ, „ანტიფრიზი" შამპუნთან ერთად, რათა სითხე არ გაიყინოს.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელსაც ზურა ბეჟაშვილი აძლევს ავტომფლობელებს, საწვავის ავზის მაქსიმალურად გავსებაა, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, განსხვავება გავსებასა და გადავსებას შორის დიდია, რადგან ეს უკანასკნელი სახიფათოა. „თუ ზამთარში, ღამით ქალაქგარეთ მიმავალი ადამიანი ავტოკატასტროფაში მოყვა და მას არ აქვს საშუალება, ვინმეს დაუკავშირდეს ან დახმარება სთხოვოს, მნიშვნელოვანია, რომ საწვავის ავზი სავსე ჰქონდეს, რათა



ღუმელი აამუშავოს და გათბეს. ავზის გადავსება არ შეიძლება, რადგან საჰაეროდან, რომელიც გაზის გამოსაშვებადაა განკუთვნილი, შესაძლოა საწვავი გადმოედინოს, რაც ძალიან სახიფათოა" – ამბობს ზურა.

მგზავრების უსაფრთხოებასთან კავშირშია ღუმელის გამართულად მუშაობაც, რადგან გაუმართაობის შემთხვევაში, მინები იორთქლება. დაზიანებული რადიატორის შესაკეთებლად იყიდება სპეციალური ფხვნილი და სითხე, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ისინი საჭირო რაოდენობით გამოიყენოს მომხმარებელმა, რადგან ჭარბი რაოდენობის გამოყენების შემთხვევაში, ღუმელის რადიატორი ზიანდება.

ამ და სხვა საკითხების შესახებ კონსულტაციის მიღება და ავტომობილის დიაგნოსტირება „თეგეტა მოტორსის" ნებისმიერ ფილიალშია შესაძლებელი.



PHOTOS Tegeta Motors archive

# WE CAN DO IT TOGETHER




OPTIMA REDTOP batteries bring together everything you need to get your off-roader back on track. Their unique AGM SPIRALCELL TECHNOLOGY ensures not only power you can rely on, but also a service life that`s twice that of conventional batteries, minimal self-discharge and exceptional starting power. They`re also extremely vibration-resistant and 180°spill-proof, making them perfect for rough terrain. And best of all, OPTIMA REDTOP batteries not only boast impressive performance, but also reliably provide exceptional value for money.

OPTIMA® BATTERIES
THE ULTIMATE POWER SOURCE™

The OPTIMA logo, OPTIMA batteries, THE ULTIMATE POWER SOURCE, SPIRALCELL TECHNOLOGY and REDTOP are trademarks of Johnson Controls, Inc.

Johnson Controls

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

# DIES

# SERVICE C

## for passanger car and trucks, special equipment at Tegeta



# EL

# ENTER

## as well as Motors




In the beginning of October, a new Tegeta Motors multi-brand diesel service center launched. It is mainly focused on light automobiles and trucks, as well as special equipment operating on diesel.

**THE SERVICE CENTER** is equipped with high level expensive apparatus and serves the repairs of the world's famous diesel apparatus manufacturers. At this point BOSCH is the most developed direction at the center; according to the Head of the Department of Service Development, Lasha Narusashvili, this is first of all caused by the fact that 60-70% of automobiles on the market are equipped with BOSCH diesel apparatus. Other than BOSCH, the service center also serves leading diesel apparatus manufacturers such as Denso, Delphi and VDO Diesel, although these latter are still in the execution phase and will be developed on an even higher level in the nearest future. The diesel service center is planning to live up to all existing standards to receive authorization from all noted official brands.

The main goal of the center is to make high quality repairs of fuel systems apparatus accessible for users. Purchasing expensive specialized diagnostics-repairs stands



and tools was a necessary factor for that. Customers are served by highly qualified specialists. In order for the service to fit high standards, the center is actively engaged in improving employee qualifications, which is why they attend trainings in Germany, Russia, the Ukraine etc.

The diesel service center is focused on importing the particular technical details and spare parts that are of highest demand on the local market. Since the center has been authorized,



it also provides guaranteed service for the customers, which implies a high quality service as it is.

If an automobile enters the diesel service center for diagnostics and it appears that the high pressure diesel pump is not functioning properly, following a set of technological processes is very important during repairs.

This service center fits all international standards. The so-called "clean rooms" have been set up, equipped with test stands, where the diesel system aggregates are repaired. Cleanness is so important during

# დიზელის სერვის ცენტრი

## თეგეტა მოტორსში, რომელიც ემსახურება დიზელის აპარატურით აღჭურვილ მსუბუქ ავტომობილებს, მიკროავტობუსებს, სატვირთო და მძიმე ტექნიკას

**ოქტომბრის დასაწყისში,** „თეგეტა მოტორსის" ახალმა, მულტიბრენდულმა დიზელის სერვისცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება. მისი მთავარი ორიენტირია დიზელზე მომუშავე მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისა და სპეც-ტექნიკის მომსახურება.

ცენტრი მაღალი დონის, ძვირადღირებული აპარატურითაა აღჭურვილი და მსოფლიოში ცნობილი დიზელის აპარატურის მწარმოებლების სისტემების შეკეთებას ემსახურება. ამ ეტაპზე, ცენტრში ყველაზე მეტად BOSCH-ის მიმართულებაა განვითარებული. როგორც კომპანიის სერვისების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ლაშა ნარუსაშვილი ამბობს, ეს ფაქტი უპირველესად იმით არის განპირობებული, რომ ბაზარზე ავტოპარკის 60-70% BOSCH-ის დიზელის აპარატურითაა აღჭურვილი. BOSCH-ის გარდა, ცენტრი ემსახურება დიზელის აპარატურის ისეთ წამყვან მწარმოებელ ბრენდებს, როგორებიცაა: Denso, Delphi, VDO Diesel, თუმცა ეს ბრენდები ჯერაც დანერგვის ფაზაშია. უახლოეს მომავალში იგეგმება მათი უფრო მაღალ დონეზე განვითარება. დიზელის სერვისცენტრი გეგმავს, დაიცვას ყველა სტანდარტი, რათა მიიღოს ავტორიზაცია ყველა აღნიშნული ოფიციალური ბრენდისგან.

ცენტრის მთავარი მიზანია, მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საწვავი სისტემების აპარატურის მაღალი ხარისხის რემონტი. ამისათვის საჭირო გახდა ძვირადღირებული სპეციალიზებული სადიაგნოსტიკო-სარემონტო სტენდებისა და დანადგარების შეძენა. სერვისის მომხმარებლებს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. იმისათვის, რომ მომსახურება მაღალ სტანდარტებს შეესაბამებოდეს, ცენტრი აქტიურად ზრუნავს მექანიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ისინი ტრენინგებს გადიან: გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში და ა.შ.

დიზელის სერვისცენტრი ორიენტირებულია სწორედ იმ ტექნიკური დეტალებისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტზე, რომლებზეც ყველაზე დიდია მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე. ცენტრს აქვს მიღებული ავტორიზაცია, ამიტომ ის მომხმარებლებს საგარანტიო მომსახურებას სთავაზობს, რაც თავისთავად, მეტყველებს მომსახურების მაღალ ხარისხზე.

თუ ავტომობილი დიზელის სერვისცენტრში შემოვიდა დიაგნოსტირების ჩასატარებლად, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, მაგალითად, დიზელის საწვავის მაღალი წნევის ტუმბოს გაუმართაობა, მისი შეკეთებისთვის მნიშვნელოვანია მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების დაცვა.

this complicated process that every element of the equipment requires particular selection: special napkins, clean shoes, inner components washed in a chemical solution, components of diesel aggregates protected, disintegrated for the purpose of repairs with a special ventilation system etc...

Technological and business processes are intact at the service center, implying the washing, disintegration, indication of defects, devaluation, agreeing with the client

სერვისცენტრი აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს. მოწყობილია სატესტო სტენდებით აღჭურვილი ე.წ. „სუფთა ოთახები“, რომლებშიც ავტომობილის დიზელის საწვავის სისტემის აგრეგატების შეკეთება ხდება. ამ რთული პროცესის დროს სისუფთავე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღჭურვილობის თითოეული ელემენტი საჭიროებს განსაკუთრებულ შერჩევას: სპეციალური ხელსახოცი, სუფთა ფეხსაცმელი, აგრეგატის შიდა კომპონენტების ქიმიურ ხსნარში გარეცხვა, სპეციალური სავენტილაციო სისტემის მეშვეობით სარემონტოდ დაშლილი დიზელის აგრეგატების კომპონენტების მტვრის ნაწილაკებისგან დაცვა და სხვა...

სერვისცენტრში დაცულია ტექნოლოგიური და ბიზნეს პროცესები, რაც გულისხმობს მოხსნილი აგრეგატის გარეცხვას,







on the price, integration, testing at the stand and installing the repaired aggregate back into the automobile.

The center has access to premium quality spare parts and technical bases. Before the establishment of the center, customers had to address unofficial services. The diesel service center is responsible for quality and satisfies customer demand for affordable prices.

The service center is intended for light automobiles, minibuses, trucks and heavy machinery such as bulldozers, dumper trucks, excavator-loaders etc. operating on diesel equipment.

დაშლას, დეფექტაციას, განფასებას, კლიენტთან ფასის შეთანხმებას, აწყობას, სტენდზე ტესტირებას და გარემონტებული აგრეგატის ავტომობილზე მონტაჟს.

ცენტრს წვდომა აქვს პრემიუმ ხარისხის ნაწილებზე და ტექნიკურ ბაზებზე. მის ჩამოყალიბებამდე, მომხმარებელი იძულებული იყო, არაოფიციალური სერვისებისთვის მიემართა. დიზელის სერვისცენტრი პასუხისმგებელია ხარისხზე და მომხმარებელთა მოთხოვნებს მისაღებ ფასებში აკმაყოფილებს.

სერვისი ემსახურება დიზელის აპარატურით აღჭურვილ მსუბუქ ავტომობილებს, მიკროავტობუსებს, სატვირთო და მძიმე ტექნიკას, როგორებიცაა: თვითმცლელები, ბულდოზერები, ექსკავატორ დამტვირთველები და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ დიზელის სერვისცენტრი ასეთი მასშტაბურია და მეზობელ ქვეყნებში მისი ანალოგი არ არსებობს, მისი სერვისები ამიერკავკასიაში არსებული სხვა ქვეყნების მომსახურებაზეც ვრცელდება.

Since this is such a large-scale service center and there are no analogies to it in neighboring countries, it will be providing service for other countries of the Caucasus. “Clients come to us from Armenia, Russia and Azerbaijan. Georgia is a priority of course, but we try to satisfy the demands of bordering countries as well” – Lasha Narusashvili noted. “For your information, there has been a new service added to the Tegeta Motors light services portfolio – automatic gearbox repairs. There was no official representative available on the market and the repairs were done at unofficial service centers. We have a new project – the ZF service which has

„სერვისებით სარგებლობისთვის ხშირად მოგვმართავენ სომხეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. პრიორიტეტული, რა თქმა უნდა, საქართველოა, თუმცა, ჩვენ ვცდილობთ, მეზობელი ქვეყნების მოთხოვნებიც დავაკმაყოფილოთ,“ – აღნიშნავს ლაშა ნარუსაშვილი.

„ინფორმაციისთვის, „თეგეტა მოტორსის“ მსუბუქი სერვისების მომსახურებების პორტფელს დაემატა ახალი სახის მომსახურება, კერძოდ, ავტომატური გადაცემათა კოლოფების რემონტი. აქამდე

BOSCH-ის გარდა, ცენტრი ემსახურება დიზელის აპარატურის ისეთ წამყვან მწარმოებელ ბრენდებს, როგორებიცაა: Denso, Delphi, VDO Diesel




already been implemented with trucks and is currently executed for light automobiles” – Lasha says.

Some of automatic gearbox spare parts are imported directly from ZF. Customers have the chance to repair the old gearbox, or purchase a new one if they so desire. It should be noted that Tegeta Loyalty Cards and the online project My Car History also cover diesel services.

The diesel service center is located in the central Tegeta Motors branch. It will launch at full load in the nearest future, offering all leading brands equipped with diesel apparatus services of equally high quality.

ბაზარზე არ არსებობდა ოფიციალური წარმომადგენელი და მათი რემონტი არაოფიციალურ სერვისცენტრებში ხდებოდა. ჩვენ გვაქვს ახალი პროექტი – ZF სერვისი, რომელიც უკვე დანერგილია სატვირთო ტიპის ავტომობილებში და ახლა მსუბუქ ავტომობილებში ინერგება,“– ამბობს ლაშა.

ავტომატური გადაცემათა კოლოფების ნაწილების იმპორტირება პირდაპირ ZF-დან ხდება. მომხმარებელს აქვს საშუალება, გაარემონტოს ძველი გადაცემათა კოლოფი, ან, სურვილის შემთხვევაში, შეიძინოს ახალი. აღსანიშნავია, რომ თეგეტა ქარდის ლოიალურობის ბარათები და ონლაინ პროექტი „ჩემი ავტომობილის ისტორია“ დიზელის ცენტრის მომსახურებაზეც ვრცელდება.

დიზელის სერვისცენტრი „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალშია განთავსებული. უახლოეს მომავალში იგი სრული დატვირთვით ამუშავდება და დიზელის აპარატურით აღჭურვილ ყველა წამყვან ბრენდს თანაბრად მაღალი ხარისხის მომსახურებას შესთავაზებს.

PHOTOS Diana Vardanashvili




ZF Services. If you're looking for a reliable source for spare parts, there's no substitute for brand-name products. You get quality with a guarantee. Original equipment by SACHS, LEMFÖRDER, BOGE and ZF Parts gives you the leading edge. You know you'll be providing your customers with quality original equipment. For cars as well as trucks.

Driveline and Chassis Technology

# Interesting automobile FACTS

## საინტერესო ფაქტები ავტომობილის შესახებ

### MUSIC IN THE CAR

In 1929 the Galvin brothers, the founders of Motorola Company who at that time were the owners of Galvin Manufacturing Corporation, manufactured a special radio. This commercial product was designed for automobiles. Very soon automobile radio became so popular that the brothers had to triple the production. In 1947 they renamed the Galvin Manufacturing Corporation and called it Motorola. In this name, the automobile part was expressed through the word Motor, while Ola indicated a sound.



The founders of Motorola Company
Paul V. Galvin and Joseph Galvin




### მუსიკა მანქანაში

1929 წელს კომპანია Motorola-ს დამაარსებელმა ძმებმა გალვინებმა, რომლებიც იმ დროისთვის Galvin Manufacturing Corporation-ის მფლობელები იყვნენ, სპეციალურად კონსტრუირებული რადიო გამოუშვეს. ეს კომერციული პროდუქტი ავტომობილებისთვის იყო განკუთვნილი. სულ მცირე დროში ავტომობილის რადიოს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ ძმებს წარმოების გასამმაგება მოუხდათ. 1947 წელს ძმებმა კომპანია Galvin Manufacturing Corporation-ს სახელი შეუცვალეს და „მოტოროლა" დაარქვეს. სიტყვა Motor საავტომობილო თემატიკას გამოხატავდა, Ola კი ხმას, ხმოვანებას აღნიშნავდა.

> Very soon automobile radio became so popular that the brothers had to triple the production



## THE FORD CASE

It took a while for the genius Henry Ford to bring the first automobile he had built with his own hands and mind out into the light. The so-called quadricycle didn't have flaws and there were no mistakes mad in calculating and manufacturing processes. The issue was that Ford had forgotten to measure the width of the garage he built the automobile in. Thus, the completed automobile remained unmoved in the same place for quite a while. Finally, Ford removed the walls and made the door of the garage wider to present his creation to the wide audience.





Henry Ford and his first car, built in 1896

## ფორდის კაზუსი

გენიალურმა ჰენრი ფორდმა თავისი ხელითა და გონებით აგებული პირველი ავტომობილი კარგა ხანს ვერ გამოიყვანა დღის სინათლეზე. ე.წ. კვადროციკლს არც ტექნიკური წუნი ჰქონდა, არც გათვლებისა და წარმოების პროცესში დაშვებულა შეცდომა. საქმე ისაა, რომ ფორდმა წინასწარ არ გაზომა იმ ფარეხის კარის სიგანე, რომელშიც თვითმავალი ააწყო. ამიტომ, უკვე დასრულებული ავტომობილი კარგა ხანს დარჩა უძრავად ერთ ადგილზე. საბოლოოდ, ფართო ასპარეზზე მოსახვედრად და თავისი ქმნილების წარსადგენად ფორდმა კედლები მოანგრია და კარი გააფართოვა.

## SEATBELTS

The great aviation used seatbelts before automobiles. Back in 1913 the pioneer of the French aviation, Adolph Pegues tied belts around his waist for the first time, however, seatbelts were not widely used until the 30's. In 1958 the Swedish automobile company produced the first ever automobile equipped with safety belts – Volvo. The idea belonged to the engineer of the company, Neil Bolin. He had worked at an aviation company before and it seems it was from there he had brought the experience of safety and high class service into automobile industry. It was his idea to construct a seatbelt that would wrap around the passenger twice and be fixed into a special holder with a single simple hand movement.



## უსაფრთხოების ღვედი

ავტომობილებამდე უსაფრთხოების ღვედები დიდმა ავიაციამ გამოიყენა. ჯერ კიდევ 1913 წელს ფრანგული ავიაციის პიონერმა, ადოლფ პეგუმ პირველად შემოიჭირა სალტეები, თუმცა 30-ან წლებამდე ღვედები ფართო მოხმარებაში არ ჩაშვებულა. პირველი ავტომობილი, რომელიც აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ღვედებით, 1958 წელს გამოუშვა შვედურმა საავტომობილო კომპანიამ – Volvo. იდეა კომპანიის ინჟინერს, ნილს ბოლინს ეკუთვნოდა. ის ადრე ავიაკომპანიაში მუშაობდა და როგორც ჩანს, უსაფრთხოებასა და მაღალი კლასის მომსახურების გამოცდილება იქიდან გამოიყოლა. სწორედ მისი იდეაა ისეთი ღვედის კონსტრუირება, რომელიც ორ ადგილას შემოეჭიდება მგზავრს და რომლის ჩამაგრებაც სპეციალურ სამაგრში ხელის ერთი მარტივი მოძრაობითაც არის შესაძლებელი.

## A SAFE COLOR

An Australian research institute based at the Monasha University has published results of its 20 years' research. They have been studying 850.000 road accidents, researched their results and made a list of car colors that were most frequent in car crashes. According to scientists' observations, people driving black color cars get into accidents most. The share of black motor vehicle accidents during the day is 12%, while this rate increases up to 47% at night. This means that there's a black car involved in 1/2 of the accidents happening at night! By these statistics, the lighter and the brighter color your car is, lesser chances there are of it being unnoticed in bad weather conditions or lack of daylight.

## უსაფრთხო ფერი

ავსტრალიურმა კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც მონაშას (MONASHA) უნივერსიტეტის ბაზაზეა დაფუძნებული, გამოაქვეყნა თავისი 20 წლიანი კვლევის შედეგები. მათ შეისწავლეს ავსტრალიაში მომხდარი 850 000 ავტოსაგზაო შემთხვევა, გამოიკვლიეს შედეგები და შეადგინეს იმ ფერების მქონე ავტომობილების სია, რომლებიც ყველაზე ხშირად ფიგურირებდა ავტოკატასტროფებისას. მეცნიერების დაკვირვებით, ყველაზე ხშირად შავი ფერის ავტომობილების მძღოლებს მოსდით უბედური შემთხვევები. დღის განმავლობაში შავი ფერის ავტომობილების ავარიების ხვედრითი წილი 12%-ა, ღამით კი მაჩვენებელი 47%-მდე იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ერთი ღამის განმავლობაში ყველა ავარიის 1/2-ში შავი ავტომობილი მონაწილეობს! ამ კვლევების თანახმად, რაც უფრო ღია ან მჭახე ფერისაა ავტომობილი, მით ნაკლებია შანსი, რომ ის შეუმჩნეველი დარჩება უამინდობის ან დღის სინათლის არარსებობის შემთხვევაში.

The Sculpture "Car Crash"
by Dirk Skreber, Saatchi Gallery



## THE WINDSHIELD

There were much news about road accidents and their victims in the beginning of the century. These were important and rather interesting news at the time. Automobiles had recently been invented, seeing them people would be shocked and freeze, or run around incoherently, complicating the state of rare amount of drivers who were stressed as it was. You would often come across stories about people damaged from pieces of the windshield in the press of the time. Some would go blind, others would be scarred for life, since windshields were not firm enough and would break into tiny pieces even at the smallest of crashes, scattering around like a firework. A French chemist, Edward Benedict brought this unpleasant matter to an end. He accidentally dropped a flask in his laboratory once; it hit the ground and cracked, but didn't break. It turned out there used to be nitrocellulose in the flask, the solution had dried out, but a thin, transparent layer remained on the inside of the vessel, creating protection, holding fragments of glass like glue. Benedict combined two layers of glass with nitrocellulose and the world's first triplex was created spontaneously – glass made of two layers, glued together with transparent plastic; when damaged, there are no splinters to fall and scatter.

> According to scientists' observations, people driving black color cars get into accidents most

## საქარე მინა

საუკუნის დასაწყისში გაზეთები ხშირად იუწყებოდნენ ავტოსაგზაო შემთხვევებისა და მათ გამო დაზარალებული მოქალაქეების შესახებ. იმ პერიოდისთვის ეს აქტუალური და მეტისმეტად საინტერესო ცნობები იყო. ავტომობილები სულ ახალი გამოგონებულია, ადამიანები მათი დანახვისას ან შტერდებოდნენ და ფეხსაც ვეღარ იცვლიდნენ ადგილიდან, ან უთავბოლოდ სირბილს მოჰყვებოდნენ ხოლმე, რითიც ართულებდნენ ისედაც დაძაბული იშვიათი მძღოლების მდგომარეობას. იმდროინდელ პრესაში ხშირად შეხვდებოდით ცნობებს საქარე მინის ნამსხვრევებისგან დაშავებული ადამიანების შესახებაც. ზოგი მხედველობას კარგავდა, ზოგიც სამუდამოდ სახიჩრდებოდა, რადგან ავარიები ხშირი



იყო, საქარე მინდა კი არაგამძლე და მცირე შეტაკების შემთხვევაშიც კი უმცირეს ნაწილებად იშლებოდა და ირგვლივ ფეირვერკივით იფანტებოდა. ამ უსიამოვნებას ბოლო ფრანგმა ქიმიკოსმა, ედუარდ ბენედიქტმა მოუღო. ერთხელ ქიმიკოსს საკუთარ ლაბორატორიაში მუშაობისას კოლბა დაუვარდა, იატაკს დაენარცხა და დაიბზარა, მაგრამ არ დამსხვრეულა. აღმოჩნდა, რომ ჭურჭელში ნიტროცელულოზის ხსნარი ინახებოდა; მთელი ნივთიერება ამოშრა, თუმცა კოლბის შიდა ზედაპირზე თხელი, გამჭვირვალე დამცავი ფენა დარჩა, რომელმაც წებოსავით დაიჭირა მინის ფრაგმენტები. საზრიანმა ბენედიქტმა შეაერთა მინის 2 ფენა ნიტროცელულოზით და ასე სპონტანურად შექმნა მსოფლიოში პირველი ტრიპლექსი = მინა, რომელიც შედგება გამჭვირვალე პლასტმასით დაწებებული ორი ფენისაგან; დაზიანებისას ნამსხვრევები არ ცვივა და არ იფანტება.

# ACCESSORIES
## for a car driven by a woman

A personal automobile is like a personal room. You want it to reflect that it's yours. It only takes a couple of details to ensure that. Colorful accessories are a good solution.

You cannot create an automobile of a new design in order to be distinguished from everyone else, but you can definitely change its interior. When do you become the owner of a car? - The second you receive your license, of course. A beautiful and colorful cover will definitely make the ownership more pleasant; even if you look funny or extremely bad on the license photo.

Changing the interior is quite a challenge. Adding several details – is much simple and fun. Decorate your seat. Change the cover, use your favorite color.

Fastening the ordinary black or grey seatbelt might not put you on a good mood. And yet it's obligatory and absolutely necessary! Many online shops offer colorful accessories for the seatbelt. If you don't wish to own something someone else might also have, you can just add your favorite flower brooch to the seatbelt.

There are many jokes about women not using the rear-view mirror accordingly. Yet all women know what it's for! In order not to decrease visibility, you can attach beautiful, colorful paper with ornaments to the sides of the mirror, so that it's pleasant to look into it as you try to see the car behind you.

Men would not mind to decorate and make the steering wheel fit either! All steering wheels are the same, round and dark while every driver is different.



# აქსესუარები
## ავტომობილისთვის, რომელსაც ქალბატონი მართავს

**საკუთარი ავტომობილი** საკუთარი ოთახივითაა – გინდა, ემჩნეოდეს, რომ შენია. ამისთვის კი სულ რამდენიმე დეტალის დამატებაა საჭირო. კარგი გამოსავალი ფერადი აქსესუარებია.

იმისთვის, რომ ყველასგან გამორჩეული იყოთ, ახალი დიზაინის ავტომობილს ვერ შექმნით, მაგრამ მისი ინტერიერის შეცვლა, ნამდვილად შეგიძლიათ. როდის ხდებით ავტომობილის მფლობელი? რა თქმა უნდა, მართვის მოწმობის აღებიდან. ლამაზი და ფერადი ჩასადები კი მართვის მოწმობის ქონას უფრო სასიამოვნოს ხდის. მაშინაც კი როცა მასზე გამოსახულ ფოტოზე სასაცილოდ, ან დაუჯერებლად ცუდად გამოიყურებით!

So steering wheel accessories are so important. Round, sometimes colorful and other times with writings and ornaments, a steering wheel accessory will add individuality to your automobile and make it more fun.

Some like it when their automobile looks like a princess. So they add long lashes to the front lights. That way everyone knows that there's a woman driving.

It is simple – hang an item expressing your character where you usually have the scented accessories. You can do the same with your keychain...

ინტერიერის შეცვლა რთული საქმეა. რამდენიმე დეტალის დამატება – უფრო მარტივი და სახალისოა. გაალამაზეთ თქვენი სავარძელი. შეუცვალეთ შალითა, გამოიყენეთ თქვენი საყვარელი ფერი.

ჩვეულებრივი შავი ან ნაცრისფერი ღვედის გაკეთება შეიძლება კარგ ხასიათზე არ გაყენებდეთ. არადა, აუცილებელი და საჭიროა! ბევრი ინტერნეტ მაღაზია გთავაზობთ ღვედის ფერად აქსესუარს. თუ არ გსურთ, რომ ისეთ ნივთს ფლობდეთ, როგორიც სხვას აქვს, შეგიძლიათ, ღვედს თქვენი საყვარელი ყვავილის ბროში დააბნიოთ.

ბევრს ხუმრობენ, რომ ქალბატონები ავტომობილის საქარე მინაზე მოთავსებულ სარკეს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. არადა, ყველა ქალბატონმა იცის, რისთვის არის განკუთვნილი ის! იმისთვის, რომ ხილვადობა არ შეზღუდოთ, სარკის კიდეებზე





Fiat 500
Barbie Concept interior

ლამაზი, ფერადი ორნამენტებიანი წებოვანი ქაღალდის დაკრობა შეიძლება. სარკეში ჩახედვა, უკან მომავალი ავტომობილის დასანახად, უფრო სასიამოვნო რომ გახდეს.

ამის გალამაზებაზე და თავის გემოზე მორგებაზე უარს არც მამაკაცები იტყოდნენ! ყველა საჭე ერთნაირია, მრგვალი და მუქი ფერის. ყოველი მძღოლი კი – განსხვავებული. ამიტომ, საჭის აქსესუარი მთავარია. წრიული ფორმის, ხან ფერადი, ხანაც კონკრეტული წარწერითა და ორნამენტით – გაახალისებს და ინდივიდუალურობას შესძენს თქვენს ავტომობილს.

ზოგს მოსწონს, მისი ავტომობილი „პრინცესას“ რომ გავს. ამიტომ, წინა მაშუქებზე გრძელ, აპრეხილ წამწამებს ამაგრებენ. ყველამ იცის, რომ ავტომობილს ქალბატონი მართავს.

ძალიან ადვილია – იქ, სადაც სურნელოვან აქსესუარს კიდებთ, თქვენი ხასიათის გამომხატველი ნივთი დაკიდოთ. გასაღების რკალზეც შეგიძლიათ იგივე გაიმეოროთ...

აქსესუარები მრავალგვარია, გემოვნების მიხედვით ყველაფრის შეცვლა შეიძლება. მთავარია, თქვენი ავტომობილი მუდამ კომფორტული იყო თქვენთვის.

Some like it when their automobile looks like a princess. So they add long lashes to the front lights

There are many kinds of accessories and one can change anything according to their taste. What matters is that your automobile remains comfortable for you.

# Why spend our holiday at Resort SAIRME?

## რატომ უნდა დავისვენოთ კურორტ „საირმეში“?

Going on a holiday is a joyful event for many reasons. People have been working since the ancient times, which is why they require restoring the energy they have exhausted, recreating it and thus they begin to think where to spend their free time. However, resting has been a complex activity for a long while now. From the 50's with the vast development of tourism people have had the possibility to have a rest according to their demands and wishes.



**ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ,** მრავალი მიზეზის გამო, სასიხარულო მოვლენაა. ადამიანი, ხომ უხსოვარი დროიდან შრომობს? ამიტომ დახარჯული ენერგიის აღდგენას, რეკრეაციას საჭიროებს და შესაბამისად, იწყებს იმაზე ფიქრს, თუ სად წავიდეს დასასვენებლად. თუმცა, დასვენება ხომ უკვე დიდი ხანია, კომპლექსური ხასიათის გახდა? 1950-ანი წლებიდან მოყოლებული, ტურიზმის მზარდ განვითარებასთან ერთად, ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისად დაისვენონ. დასასვენებელ ადგილს იმის მიხედვით ვირჩევთ, თუ სად ვიგრძნობთ თავს ყველაზე კარგად კონკრეტულ სეზონზე, თუმცა არსებობს ადგილები, სადაც წელიწადის ოთხივე სეზონი თანაბრად სასიამოვნოდ შეიძლება



**კურორტზე 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, რომელიც აღჭურვილია გერმანული წარმოების მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური დიაგნოსტიკის უახლესი აპარატურით**

**WE CHOOSE** where to spend our holiday based on where we feel best during a particular season, although there are places where we can spend all seasons in an equally pleasant manner; the balneotherapeutic resort "Sairme" is the place managing to satisfy the guest's demands throughout the year. The head of the medical department Jaba Tsuladze will tell us how that is possible.

The finding of resort "Sairme" is linked to a historical legend, according to which, hunters followed a wounded deer in the woods and it brought them to a spring. This was how they discovered a spring with healing properties.

Laboratory researches at "Sairme" resort were conducted in the 20th century. As of today there are up to 6-7 thousand guests visiting "Sairme" annually, because the resort provides them with a variety of services that are interesting for enthusiasts of both, active

გავატაროთ; ბალნეოლოგიური კურორტი საირმე კი სწორედ ის კურორტია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ახერხებს, თანაბრად დააკმაყოფილოს დამსვენებლების მოთხოვნილებები. თუ როგორ, ამის შესახებ საირმის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჯაბა წულაძე მოგვითხრობს.

კურორტ საირმის აღმოჩენა ერთ ისტორიულ ლეგენდასთანაა დაკავშირებული, რომლის თანახმადაც, ტყეში ნადირობისას, მონადირეები დაჭრილ ირემს დაედევნენ, რომელმაც ისინი წყაროსთან მიიყვანა. ასე აღმოაჩინეს წყარო, რომელსაც სამკურნალო მინერალური თვისებები აღმოაჩნდა.

კურორტ საირმის წყაროების ლაბორატორიული შესწავლა კი მე-20 საუკუნეში მოხდა. დღესდღეობით, საირმეს ყოველწლიურად 6-7 ათასამდე დამსვენებელი სტუმრობს, რადგან მომსახურებები, რომელთაც კურორტი დამსვენებლებს სთავაზობს, მრავალფეროვანია და თანაბრად საინტერესო აქტიური, თუ პასიური დასვენების მოყვარულთათვის. უპირველეს ყოვლისა, როგორც ჯაბა წულაძე აღნიშნავს, ეს ადგილი მაინც თავისი სამკურნალო თვისებებით არის უნიკალური და სხვა კურორტებისაგან იმით გამოირჩევა, რომ აქ კომპლექსურად შეიძლება სხვადასხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური სერვისებით



and passive leisure. Yet according to Jaba Tsuladze, it is unique, first of all, for its healing properties and is distinctive from other resorts with the fact that one can use a complex of different treatment and preventive services here; besides, it is no less attractive for guests who don't need treatment, but would rather enjoy their time outdoors.

The resort is located at the altitude of 950 meters and is surrounded by a mixed forest of coniferous and broad-leaf trees, which is an attractive element for those who wish to spend time on fresh air. The first associations we get when hearing about "Sairme" are the mineral resources and that is not quite by accident. There are 5 types of therapeutic springs at the resort, four out of which are drinkable and the fifth – thermal. Each one of them has unique healing properties. As Jaba Tsuladze noted the first spring is particularly beneficial for people suffering from gastroenterological

## Laboratory researches at "Sairme" resort were conducted in the 20th century

and gastrointestinal diseases; the second spring treats bile issues and gallstone diseases; the third is useful for those with digestive problems or diabetes, while the fourth is for those who have urolithiasis and kidney-related diseases.

The fifth type of mineral thermal spring emerges from the depth of 2000 meters and is 43-45 degrees. "When we were thinking how we should equip the resort, we used the example of the German company Craft which has great experience of equipping balneological resorts across Europe. They planned and equipped the thermal baths for us." – Jaba told us. From a medical point

სარგებლობა; ამასთანავე არანაკლებ მიმზიდველი ადგილია იმ დამსვენებელთათვისაც, რომელთაც არა მკურნალობა, არამედ ბუნების წიაღში დროის სასიამოვნოდ გატარება სურთ.

კურორტი ზღვის დონიდან 950 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და წიწვოვან-ფართოფოთლოვანი შერეული ტყით არის გარშემორტყმული, რაც, თავისთავად, მიმზიდველი ელემენტია მათთვის, ვისაც სუფთა ჰაერზე



The head of the medical department Jaba Tsuladze



of view, thermal baths are particularly useful for post-surgical rehabilitation and prophylaxis. Guests can use services such as underwater massages, calm baths with different extracts, colonic hydrotherapy, anti-cellulite massages, therapeutic and fitness massages, honey, chocolate and other massages. Thermal springs are 3-4 kilometers away from "Sairme", and there is free transport available for guests.

There is a polyclinic at the resort functioning 24 hours a day, equipped with the newest laboratory-instrumental diagnostic apparatus; there's also an ultrasonography cabinet. Highly qualified doctors – cardiologists, urologists, endocrinologist-dieticians and therapists will provide patients with individual treatment.

## The resort is equally comfortable for grownups as well as children

The development of the resort infrastructure is associated with the post World War II period. There are currently 4 hotels in "Sairme". Hotel "Sairme" living up to three star hotel standards, has 150 rooms and can host 390 guests at the same time. It is equipped with all the necessary accessories, plasma TVs, wireless internet, isolated bathrooms, shower cabins, mini bars, a conference hall etc. Along Hotel "Sairme" there are also hotels – "Imereti", "Udabno" and "Iberia" with the total capacity to host 800 visitors.

Resort infrastructure improved significantly from 2011 turning "Sairme" into an attractive destination throughout the entire year. Another factor worth mentioning is that this place is equally interesting for all age groups and doesn't only attract those who have a holiday to treat or prevent themselves from diseases.

დასვენება უყვარს. პირველი ასოციაცია, რომელიც კურორტ საირმის გაგონებისას გვიჩნდება, სამკურნალო მინერალური წყაროებია და ეს არცთუ შემთხვევითია. კურორტზე 5 ტიპის სამკურნალო წყარო გვხვდება, რომელთაგან ოთხი სასმელი, მეხუთე კი – თერმული წყაროა. თითოეულ მათგანს უნიკალური სამკურნალო თვისებები გააჩნია. როგორც ჯაბა წულაძე აღნიშნავს, პირველი წყარო იმ ადამიანებისთვის არის განსაკუთრებით სასარგებლო, რომელთაც გასტროენტეროლოგიური, კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული დაავადებები აწუხებთ; მეორე წყარო ნაღვლისა და ნაღველკენჭოვან დაავადებებს კურნავს; მესამე სასარგებლოა ნივთიერებათა ცვლის მოშლის თუ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, ხოლო მეოთხე – მათთვის, ვისაც შარდკენჭოვანი და თირკმელთან დაკავშირებული დაავადებები აწუხებს.

მეხუთე ტიპის მინერალური თერმული წყარო 2000 მეტრის სიღრმიდან ამოედინება და მისი ტემპერატურა 43-45 გრადუსია. „როდესაც ვფიქრობდით, თუ როგორ აღგვეჭურვა კურორტზე არსებული თერმული აბაზანები, გავითვალისწინეთ გერმანული კომპანია „კრაფტის" რეკომენდაციები, რომელსაც ბალნეოლოგიური კურორტების აღჭურვის დიდი გამოცდილება აქვს ევროპაში. მათ მიერ მოხდა თერმული აბაზანების დაგეგმარება და აღჭურვა," – გვიამბობს ჯაბა. თერმული აბაზანები, სამედიცინო თვალსაზრისით, სასარგებლოა ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისთვის და პროფილაქტიკისათვის. დამსვენებლებს შეუძლია ისარგებლონ ისეთი მომსახურებებით, როგორებიცაა წყალქვეშა მასაჟები, წყნარი აბაზანები სხვადასხვა ექსტრაქტებით, ჰიდროკოლონოთერაპია, ანტიცელულიტური მასაჟი, სამკურნალო გამაჯანსაღებელი მასაჟი, თაფლის, შოკოლადისა თუ ა.შ. მასაჟები. თერმული აბაზანები სასტუმრო საირმიდან 3-4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, თუმცა დამსვენებელს ტრანსპორტი უფასოდ ემსახურება.

კურორტზე 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, რომელიც აღჭურვილია გერმანული წარმოების მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური დიაგნოსტიკის უახლესი აპარატურით; ფუნქციონირებს ულტრასონოგრაფიის კაბინეტი. პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტები – კარდიოლოგი, უროლოგი, ენდოკრინოლოგ-დიეტოლოგი, თერაპევტები – რომლებიც მათ ინდივიდუალურ მკურნალობას უნიშნავენ.

კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. საირმის ტერიტორიაზე, დღესდღეობით, მდებარეობს 4 სასტუმრო. სასტუმრო „საირმე", რომელიც სამვარსკვლავიანი ტიპის სასტუმროს სტანდარტებს შეესაბამება, 150 ნომრით არის დაკომპლექტებული და ერთდროულად 390 დამსვენებლის მიღება შეუძლია. აღჭურვილია ყველა საჭირო აქსესუარით, პლაზმური ტელევიზორებით, უკაბელო ინტერნეტით, იზოლირებული სველი წერტილებით, დუშ-კაბინებით, მინიბარებით, საკონფერენციო დარბაზითა და ა.შ. აქვეა



კურორტ საირმის აღმოჩენა ერთ ისტორიულ ლეგენდასთანაა დაკავშირებული, რომლის თანახმადაც, ტყეში ნადირობისას, მონადირეები დაჭრილ ირემს დაედევნენ, რომელმაც ისინი წყაროსთან მიიყვანა. ასე აღმოაჩინეს წყარო, რომელსაც სამკურნალო მინერალური თვისებები აღმოაჩნდა

The resort is equally comfortable for grownups as well as children. There's an entertainment center with tennis tables, billiards, a trampoline and computer games. For those who enjoy nightlife, Jaba noted that there's a restaurant called Opera with a terrace where there are parties, karaoke, movie nights and other entertainment events at night.

For the guests looking for active leisure, there are horse-riding tours close to the resort. Since "Sairme" is at 950 meters altitude, you can even get to the Alpine zone at the altitude of 2300 meters riding a horse.

And if you're still thinking about what's so unique about "Sairme", we shall tell you that this is a place you can enjoy your holiday at any of the four seasons; you will have sun and air therapy, get complex treatment with mineral springs and thermal water baths, have a rest and become healthier. If you think about the places you could go for a holiday, there are many reasons why "Sairme" should be distinctive on your list of possible destinations.





## There are 5 types of therapeutic springs at the resort

სასტუმროები – „იმერეთი“, „უდაბნო“ და „იბერია“. ყველა ერთად, ჯამში, 800 დამსვენებელს იტევს.

2011 წლიდან კურორტის ინფრასტრუქტურა მკვეთრად გაუმჯობესდა, რის შედეგადაც, საირმე წლის ნებისმიერ მონაკვეთში მიმზიდველია დამსვენებლისთვის. კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტორი გახლავთ ის, რომ იგი თანაბრად საინტერესოა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის და არ იზიდავს მათ, ვისაც დასვენება მხოლოდ მკურნალობისა თუ პროფილაქტიკის მიზნით აქვს განზრახული.

კურორტი თანაბრად კომფორტულია როგორც დიდებისთვის, ისე ბავშვებისთვის. მოწყობილია გასართობი ცენტრი, აღჭურვილი ჩოგბურთის მაგიდებით, საბილიარდეთი, ბატუტითა თუ კომპიუტერული თამაშებით. მათთვის, ვისაც ღამის ცხოვრება უყვარს, როგორც ჯაბა აღნიშნავს, კურორტის ტერიტორიაზე არის რესტორანი „ოპერა“, რომელსაც გააჩნია ულამაზესი ტერასა, სადაც იმართება დისკოთეკები, კარაოკე, კინოსეანსები და სხვა გასართობი ღონისძიებები.

აქტიური დასვენების მოყვარულთათვის, კურორტისგან მოშორებით ეწყობა საცხენოსნო ტურები. რადგან საირმე ზღვის დონიდან 950 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ცხენზე ამხედრებულმა შეგიძლიათ 2300 მეტრზე ალპურ ზონამდეც მიაღწიოთ.

და თუ თქვენ მაინც ფიქრობთ, რით არის კურორტი საირმე უნიკალური, გეტყვით, რომ ეს არის ადგილი, სადაც შეძლებთ დასვენებას წლის ოთხივე სეზონზე; მიიღებთ მზისა და ჰაერის თერაპიას, ჩაიტარებთ კომპლექსურ მკურნალობას საირმის სამკურნალო მინერალური წყაროებით, მიიღებთ თერმული წყაროს აბაზანებს, დაისვენებთ და გაჯანსაღდებით. თუ სამომავლოდ დაფიქრდებით, სად წახვიდეთ დასასვენებლად, კურორტი საირმე მრავალი მიზეზის გამო, აუცილებლად უნდა მოხვდეს თქვენს სიაში.




# *On the road with full power:*
# *SACHS offers safety.*



SACHS products are used in millions of vehicles all over the world. They stand for a maximum of safety, high driving comfort and outstanding reliability. SACHS is the first choice when it comes to clutches and shock absorbers. Because we combine the expertise of the OEM business with the innovative power of Formula One racing. Take advantage of our experience. We are happy to be of your assistance.

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

SACHS

www.zf.com

# The practical purpose of **THE OILPRODUCTS RESEARCH LABORATORY**

## ნავთობპროდუქტების კვლევის ლაბორატორიის პრაქტიკული დანიშნულება

It has been a long time that oil research can be performed at LEPL Levan Samkharauli National Forensic Bureau. The laboratory however, was renewed a year ago. With upgraded equipment and qualified staff the laboratory was ranked third in the world in the UN Professional Testing. The head of the bureau, Giorgi Khizanishvili will tell you about the company and the practical purpose of the oilproducts research laboratory.



### HOW LONG HAS IT BEEN SINCE THE OILPRODUCTS FORENSICS LABORATORY WAS ESTABLISHED?

The oil products forensics laboratory has existed for a while now, from 2004-05. However, until 2012 it was equipped with relatively old appliances. In 2012 we purchased equipment worth two million dollars and completely renewed the laboratory. As of today our laboratory can perform research and forensics on all oil products. We can practically do anything.

### WHAT DOES OIL PRODUCTS FORENSIC SERVE?

The oil products forensic laboratory is for oil quality control. However this does not mean that the National Forensics Bureau will one day approach one of the gas stations, an oil procuring or trading company and start a testing. We're more open in this sense, any Georgian citizen or company can bring any oil product to the National Forensics Bureau, have it checked and receive answers to any questions they have.

### WHY IS OIL PRODUCTS FORENSICS USED IN GEORGIA?

The Bureau has many corporate clients. Who have many, highly expensive automobiles. They can only operate on fuel leveled with European standards. Before purchasing particular oil they come to us and check whether diesel fits their demands. We cooperate closely in this direction. Besides, we also cooperate with the Ministry of Defense and the Railway Department and they too, hire us for oil and lubricant forensics.



**სსიპ** ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დიდი ხანია, შესაძლებელია ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ჩატარება. თუმცა, ერთი წლის წინ ლაბორატორია განახლდა. განახლებული ტექნიკითა და კვალიფიციური კადრებით გაეროს პროფესიულ ტესტირებაში ლაბორატორიამ მესამე ადგილი მოიპოვა მსოფლიოს მასშტაბით. ბიუროს უფროსი, გიორგი ხიზანიშვილი თავად გიამბობთ ბიუროს შესახებ და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიის პრაქტიკულ გამოყენებაზეც გესაუბრებათ.

> საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად ჩვენ გავხდით სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის, ENFSI-ის სრულუფლებიანი წევრი

### რამდენი ხანია, რაც ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორია არსებობს?

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორია უკვე დიდი ხანია, არსებობს, 2004–2005 წლიდან, თუმცა, 2012 წლამდე ის ძველი ტექნიკით იყო აღჭურვილი. 2012 წელს ორი მილიონი დოლარის ღირებულების აპარატურა შევიძინეთ და სრულად განვაახლეთ ლაბორატორია. დღესდღეობით, ჩვენს ლაბორატორიაში შესაძლებელია ყველა ნავთობპროდუქტზე ექსპერტიზისა და კვლევის ჩატარება; პრაქტიკულად, ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი.

### რას ემსახურება ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა?

ნავთობის ექსპერტიზის ლაბორატორია ემსახურება ნავთობის ხარისხის კონტროლს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თავისი ინიციატივით მივა რომელიმე გაზგასამართ სადგურზე ან ნავთობმომპოვებელი და ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანიაში და დაიწყებს შემოწმებას. ამ მიმართულებით ჩვენ უფრო ღია ვართ. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს თუ კომპანიას შეუძლია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოიტანოს ნებისმიერი ნავთობპროდუქტი, შეამოწმოს და მისთვის საჭირო ყველა შეკითხვაზე მიიღოს პასუხი.

### რატომ იყენებენ ნავთობპროდუქტების ექსპერტიზას საქართველოში?

ბიუროს ბევრი კორპორატიული კლიენტი ჰყავს, რომლებიც ფლობენ ძვირადღირებულ ავტომობილებს. ისინი მხოლოდ



The oil products forensic laboratory is for oil quality control. However this does not mean that the National Forensics Bureau will one day approach one of the gas stations, an oil procuring or trading company and start a testing

**WHAT OPPORTUNITIES AND BENEFITS DOES THE NEW MATERIAL-TECHNICAL BASE HAVE?**

It's hard to say. It is better you see it once, rather than hearing it a thousand times. It's impossible to compare. So I will bring a simple example for the readers: the difference between old and new equipment is the same as the difference between a Zaporozhets and a Mercedes. The new laboratory is equipped with apparatus produced in 2012-2013 we have purchased from ISO certified companies. All research carried out with these apparatus can be evaluated with ISO standards.

**IS THE LABORATORY STAFF READY TO CARRY OUT ISO – INTERNATIONAL STANDARD RESEARCH?**

We have spent a lot of time and effort in retraining them. They constantly undergo different trainings. We take care of qualifying the staff of the entire Bureau. We bring international trainers from the US and West Europe, we have multiple memorandums signed with different forensics institutions and we regularly send our employees abroad for them to gain experience.

**HOW IMPORTANT IS THE INTERNATIONAL CERTIFICATE FOR THE BUREAU?**

Receiving the international certificate is the peak of



ევროსტანდარტის დონის საწვავზე მუშაობენ. სანამ კონკრეტულ საწვავს შეიძენენ, მოდიან ჩვენთან და ამოწმებენ, აკმაყოფილებს თუ არა მათ მოთხოვნებს დიზელი. გარდა ამისა, ვთანამშრომლობთ თავდაცვის სამინისტროსთან და რკინიგზის დეპარტამენტთან და ისინიც, ზეთებისა და საცხების ექსპერტიზას გვიკვეთავენ.

**რა შესაძლებლობები და უპირატესობები აქვს ახალ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას?**

სათქმელად ძალიან რთულია. ჯობს, ერთხელ ნახოთ, ვიდრე ათასჯერ მოისმინოთ. შედარება შეუძლებელია. ამიტომ, მკითხველისათვის მარტივ მაგალითს მოვიყვან: ძველ და ახალ ტექნიკას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც „ზაპაროჟეცსა" და „მერსედესს" შორის. ახალ ლაბორატორიაში 2012-2013 წელს გამოშვებული აპარატურაა, რომლებიც შევიძინეთ ISO სერთიფიკატის მქონე კომპანიებისგან. ამ აპარატურაზე გაკეთებული კვლევები შესაძლებელია, ISO სტანდარტით შეფასდეს.

**მზად არიან თუ არა ლაბორატორიის თანამშრომლები, ჩაატარონ ISO ანუ საერთაშორისო სტანდარტის კვლევები?**

ჩვენ დიდი დრო და ძალისხმევა დავხარჯეთ მათ გადამზადებაზე. მუდმივად უტარდებათ სხვადასხვა ტრენინგი. ვზრუნავთ მთელი ბიუროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამერიკიდან და დასავლეთ ევროპიდან საერთაშორისო ტრენერები ჩამოგვყავს. გაფორმებული გვაქვს არაერთი მემორანდუმი სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულებებთან. გამოცდილების მისაღებად თანამშრომლებს სისტემატურად ვაგზავნით საზღვარგარეთ.

**რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სერთიფიკატი ბიუროსთვის?**

საერთაშორისო სერთიფიკატის მოპოვება ლაბორატორიის მიღწევების უმაღლესი მწვერვალია. მისი მოპოვება არცთუ ისე მარტივი იყო. ორი წლის განმავლობაში 24 საათიან რეჟიმში ვმუშაობდით. საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად ჩვენ გავხდით სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის, ENFSI-ის სრულუფლებიანი წევრი, გავიარეთ არაერთი პროფესიული ტესტირება. უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ტესტირებაში, რომელიც 2012 წელს გაეროს ეგიდით ჩატარდა მსოფლიოს 87 ლაბორატორიას შორის, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მესამე ადგილზე გავიდა. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლაბორატორია გვაქვს. ეს საამაყოა მთელი ქვეყნისთვის. ლიდერები ვართ აღმოსავლეთ ევროპასა და ჩვენს რეგიონში. საექსპერტო დაწესებულებისთვის საერთაშორისო აკრედიტაცია ნიშნავს ყველაფერს.

laboratory's achievements. It was not very easy to get there though - we worked 24 hours a day for two years. We became full members of the European Network of Forensic Science Institutions (ENFSI) to receive international accreditation and went through multiple professional testing. The last testing held in 2012 under the auspices of the UN is to be particularly noted. The National Forensics Bureau held the third place among 87 laboratories of the world; which means that we have one of the world's best laboratories here in Georgia. This is something the entire country should be proud of. We are leaders in Eastern Europe and our region. International accreditation is everything for a forensics institute.

**HAS DEMAND FOR YOUR SERVICES INCREASED LATELY?**

Demand increases from year to year by an average of 30% annually. The number of forensics carried out has increased compared to 2012.

**WHAT DOES THE NATIONAL FORENSICS BUREAU OFFER AUTOMOBILE ENTHUSIASTS?**

We have different services for car enthusiasts. The increase in number of automobiles has led to an increasing amount of road accidents recently. The Forensics Bureau has a unique possibility to establish the guilty among parties. Anyone can come and appeal the police decision. A unique chance to see the accident in 3D provides the opportunity to determine vehicle movement before and after the crash. The animated video describes the crash in great detail.

It's important to determine a car's technical condition at purchase. We can check whether mechanical force was used on the car or not, or whether or not it has been repainted. Stolen cars were largely imported in Georgia for a period of time. Vin code was often removed, after the renewal of which, new owners would lose the automobile.



The oil products forensics laboratory provides the opportunity to determine fuel consumption. It's not as important to physical entities, as it is for companies that have to present the special equipment costs for revenue and tax services.

Drivers often come to us appealing for the police's decision and take tests for sobriety. Within 2 hours they have the right to come to us and prove themselves right at the National Forensics Bureau. The service is provided 24 hours a day and is available in three cities across Georgia: Batumi, Kutaisi and Tbilisi. Considering the size of the country 2 hours is enough time for drivers to make it to one of the cities.



We became full members of the European Network of Forensic Science Institutions (ENFSI) to receive international accreditation

### WOULD YOU LIKE TO COOPERATE WITH THE TEGETA MOTORS DIESEL SERVICE CENTER?

Why not. I think cooperation would be interesting for them as well. The diesel service center they opened implies checking and serving diesel engine automobiles and not the quality level and validity of the diesel or lubricants the owner of the automobile used. These are the questions we have competent and professional answers to.

### გაიზარდა თუ არა მომართვიანობა ბოლო პერიოდში?

მომართვიანობა წლიდან-წლამდე მატულობს; საშუალოდ, 30%-ით. წელს ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია.

### რას სთავაზობს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ავტომოყვარულებს?

ავტომოყვარულებს სხვადასხვა მომსახურებას ვთავაზობთ. ბოლო დროს ავტომობილების მატებას ავტოსაგზაო შემთხვევების მატებაც ერთვის თან. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა, ავტოსაგზაო შემთხვევისას დაადგინოს მხარეების ბრალეულობა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოვიდეს და გაასაჩივროს პატრულის გადაწყვეტილება. მათ ეძლევათ უნიკალური შანსი – ნახონ ავტოსაგზაო შემთხვევა 3დ-ში, რაც ავტომობილების მოძრაობის დადგენის საშუალებას იძლევა, შეჯახებამდე და შეჯახების შემდეგ. მულტიპლიკაციური ვიდეორგოლი დიდი სიზუსტით აღწერს შეჯახებას.

მნიშვნელოვანია ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა მისი შეძენისას. შეგვიძლია დავადგინოთ, იყო თუ არა ავტომობილზე მექანიკური ძალა გამოყენებული, გადაღებილია თუ არა ის. ერთი პერიოდი საქართველოში მოპარული ავტომობილების შემოყვანა გახშირდა. Vin კოდი ხშირად წაშლილი იყო. მისი აღდგენის შემდეგ კი ახალი მფლობელები კარგავდნენ ავტომობილებს.

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიაში შესაძლებელია საწვავის ხარჯის დადგენა. ფიზიკური პირებისთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც კომპანიებისთვის, რომლებსაც შემოსავლებისა და საგადასახადო სამსახურებთან სპეციალური ტექნიკის ხარჯის წარდგენა უწევთ.

ხშირად მოგვმართავენ მძღოლები, რომლებიც ასაჩივრებენ საპატრულო პოლიციის გადაწყვეტილებას და სიმთვრალე-სიფხიზლეზე მოწმდებიან. 2 საათის განმავლობაში, მათ აქვთ უფლება, მოვიდნენ და ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაამტკიცონ სიმართლე. სერვისი 24საათიანია და საქართველოს სამ ქალაქში მოქმედებს: ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, 2 საათი საკმარისი დროა, იმისთვის, რომ მძღოლები რომელიმე ქალაქში ჩავიდნენ.

### ისურვებდით თუ არა „თეგეტა მოტორსის" დიზელის სერვისცენტრთან თანამშრომლობას?

რატომაც არა. ვფიქრობ, თანამშრომლობა მათთვისაც საინტერესო უნდა იყოს. დიზელის სერვისცენტრი, რომელიც მათ გახსნეს, დიზელის ძრავიანი ავტომობილების შემოწმებას და მომსახურებას გულისხმობს და არა იმას, რამდენად ვარგისიანი და ხარისხიანი დიზელი ან ზეთი გამოიყენა ავტომობილის მფლობელმა. სწორედ ასეთ საინტერესო შეკითხვებზე, ჩვენ გვექნება კომპეტენტური და პროფესიონალური პასუხები.

PHOTOS Zura Kartvelishvili

Hand with Reflecting Sphere
Maurits Cornelis Escher



# “ITEM” Principles

What is a principle? It’s a simple and a rather primitive question. There can be as many answers to it, as there are attempts to explain the concept. Everyone has their own definition. In short – a principle is the ground and the base that defines our future and justifies our actions in the past. Something we never break and what becomes a point of orientation for everyday life, and triggers behavior at a particular time and circumstance. Principles are our attitudes towards life, our ideologies, the beginning of perception, acknowledged truth. Certain notions that are not mandatory and must-obey like the laws, but rather desirable and certain means of improving the quality of life. We have gathered 9 everyday, practical and interesting principles in this article and linked them to items of everyday practical use. We think it’s an interesting experiment. It’s impossible to determine ahead whether you will be guided by these principles or not. But they are definitely interesting to learn about.

## THE MIRROR PRINCIPLE

Before you judge someone else’s actions, looks, past or life overall, look into the mirror and ask yourself a simple question – is all in order in your life?

## THE STEP PRINCIPLE

We go to the next step in our life when we treat someone the way we want to be treated, not when we look down

# „ᲡᲐᲒᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ“ პრინციპები

**ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ?** მარტივი კითხვაა. პრიმიტიული. პასუხი იმდენნაირი შეიძლება იყოს, რამდენიც ახსნის მცდელობა. ყველას საკუთარი განმარტება აქვს. მოკლედ და მარტივად – პრინციპი ის საფუძველია, ის ბაზაა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს და ამართლებს წარსულში ნამოქმედარს. ის, რასაც არასდროს ვღალატობთ და რაც ცხოვრებისეულ ორიენტირად, ქცევის აღმძვრელად იქცევა, შესაბამის დროსა და მოცემულობაში. პრინციპები ჩვენი ცხოვრებისადმი დამოკიდებულებებია, მსოფლმხედველობა, მსოფლშეგრძნების არსებობის სათავე, აღიარებული ჭეშმარიტება. ერთგვარი მცნებები, რომლებიც სავალდებულო და კანონივით აუცილებლად შესასრულებელი კი არა, სასურველი და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებელი

on other people. Don't hope to receive the same from everyone. The goal is to work on your personality; not attempt to improve and ennoble the world.

## THE HAMMER PRINCIPLE

I will never use a hammer to kill a mosquito sitting on the forehead of a person facing of me.

## THE ELEVATOR PRINCIPLE

Throughout life we sometimes go up and other times, we come down. Just like an elevator. It is a regularity; it is normal and everything would have been much worse if this elevator had only one way to go.

> According to the universal principle of regularity, if I give – I shall receive

## THE HUMAN=BOOK RINCIPLE

Books are a source of education, receiving new information, improving analytical skills and getting pleasure. We could generalize the same about people. Each new acquaintance brings something new along. It doesn't matter whether it's a positive or a negative experience. The key word in this case is experience.



საშუალებებია. სტატიაში 9 ასეთ აღიარებულ, ყოველდღიურ, პრაქტიკულ და საინტერესო პრინციპს მოვუყარეთ თავი. ეს პრინციპები ყველასთვის კარგად ნაცნობ, ასევე ყოველდღიური, პრაქტიკული დანიშნულების მქონე საგნებს დავუკავშირეთ. ვფიქრობთ, საინტერესო ექსპერიმენტი მივიღეთ. იხელმძღვანელებთ თუ არა ამ პრინციპებით – ამის პროგნოზირება, ცხადია, შეუძლებელია. გასაცნობად კი ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა.



Steps to the Lincoln Memorial, Washington
Margaret Bourke-White

## ᲡᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

მანამ, სანამ სხვის ქმედებებს, გარეგნობას, წარსულს ან ცხოვრებას შეაფასებდეთ, სარკეში ჩაიხედეთ და დასვით მარტივი კითხვა – შენ ყოველთვის ყველაფერი სრულ წესრიგში გაქვს?

## ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

უფრო მაღალ ცხოვრებისეულ საფეხურზე მაშინ კი არ ავდივართ, როცა ვინმეს ზემოდან დავყურებთ, არამედ მაშინ, როცა სხვას ისე ვექცევით, როგორც თავად გვსურს, მოგვექცნენ. იმავეს მიღების იმედი ყველასგან ნუ გექნებათ. ამ შემთხვევაში მიზანი საკუთარ თავზე მუშაობაა მხოლოდ, და არა სამყაროს გაკეთილშობილების ან გაუმჯობესების მცდელობა.

## ᲩᲐᲥᲣᲩᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

არასდროს გამოვიყენებ ჩაქუჩს პირისპირ მდგომი ადამიანის შუბლზე სისხლისმსმელი კოღოს მოსაკლავად.

## ᲚᲘᲤᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

ცხოვრების განმავლობაში ხან ზევით ავდივართ, ხან ქვევით. ისე, როგორც ლიფტი. ეს კანონზომიერებაა, ნორმალურია

## THE PLANK PRINCIPLE

When we notice the slightest of flaws in everyone and criticize, when we're constantly unsatisfied with everything, when we oppose everyone, without exceptions, it's time to search for the plank in our own eye.

## THE BACKPACK PRINCIPLE

An experienced traveler will pack their bag slowly, consciously, and with all necessities in mind. They will know exactly what is where and find the necessary items quickly. Striving for a certain goal, fill your imaginary bag with the appropriate ideas, technologies and skills, and use them accordingly at the right time.



Each new acquaintance brings something new along

## THE TRENCH PRINCIPLE

Build a trench before you start a battle, make sure two people can fit there and reserve space to retreat!

## THE BOOMERANG PRINCIPLE

I help myself by helping others. According to the universal principle of regularity, if I give – I shall receive. If I do you good – I shall get the same. If I do bad – I am ready to take responsibility for it. That's it.



Hommage a Pessoa
Jean-Michel Folon
Lisbon

და ყველაფერი გაცილებით უფრო ცუდად იქნებოდა, ამ ლიფტს რომ მხოლოდ ერთი მიმართულება ჰქონდეს.

## ადამიანი = წიგნის პრინციპი

წიგნები განათლების, ახალი ინფორმაციის შეძენის, ანალიზის უნარის გაუმჯობესების და სიამოვნების მიღების წყაროა. იგივე შეგვიძლია განვაზოგადოთ ადამიანებზეც. თითოეულ ახალ ნაცნობობას რაღაც ახალი მოჰყვება. არ აქვს მნიშნელობა, დადებითია ეს გამოცდილება თუ უარყოფითი. საკვანძო სიტყვა, ამ შემთხვევაში, გამოცდილებაა.

## დირეს (საძირკვლის ძელი) პრინციპი

როდესაც ყველა დანარჩენის თვალში უმცირეს ბეწვს (ნაკლს) ვამჩნევთ და ვაკრიტიკებთ, როდესაც ყველაფრით უკმაყოფილოები ვართ და არაფერი მოგვწონს, როდესაც, გამონაკლისის გარეშე, ყველას ვუპირისპირდებით, დროა საკუთარ თვალში დირეს ძიებას მივყოთ ხელი.

## ზურგჩანთის პრინციპი

გამოცდილი მოგზაური შორეულ მოგზაურობაში წასვლამდე ზურგჩანთას აუჩქარებლად, გააზრებულად, ყველა საჭიროების გათვალისწინებით ჩაალაგებს. მომავალში მას ზუსტად ეცოდინება, სად რა დევს, ადვილად და სწრაფად მიაგნებს საჭირო ნივთებს. რაიმე მიზნისკენ სწრაფვისას აავსეთ თქვენი წარმოსახვითი ზურგჩანთა შესაბამისი იდეებით, ტექნოლოგიებით, უნარებით და შესაფერის დროსა და სიტუაციაში დანიშნულებისამებრ გამოიყენეთ.

## სანგრის პრინციპი

სანამ ორთაბრძოლას წამოიწყებ, „სანგარი" გათხარე, თან ისე, რომ ორნი დაეტიოთ და უკან დასახევი გზა დაიტოვე!

## ბუმერანგის პრინციპი

როდესაც სხვას ვეხმარები, საკუთარ თავს ვეხმარები. თუ გავცემ – ვიღებ კიდეც. თუ კარგს ვაკეთებ – იმავეს მივიღებ კანონზომიერების ყოვლისმომცველი პრინციპის თანახმად. თუ ცუდად ვიქცევი – მზად ვარ, ამაზეც ვაგო პასუხი. ესაა და ეს.



# A transport on

Traveling large distances on a ship used to be just as normal as a three hour flight is, these days. People fascinated by exotics and cruises don't mind sailing now either. Ships are mostly used for freight transportation in the 21st century. Pirates have also become more modern and rarely float around with a Jolly Roger sail. A yacht is a good means of entertainment and relaxation. A boat fascinates fishermen and those who enjoy short distant sailing. All of them have their stories of origin and it all started a long time ago.



The Black Sea Fleet in Feodosiya
Oil on canvas, 53x107 cm
Ivan Konstantinovich Aivazovsky
Feodosia art gallery of Ivan Aivazovsky, Ukraine

# WATER

## BOATS

Canoe is the oldest form of a boat archaeologists have managed to find. The discovered boat is dated 8200-7600 years BC. The canoe was carved from a pine-tree. The second oldest canoe is currently stored in one of the museums in Holland.

Sumerians, Ancient Egyptians and other inhabitants of the Indian Ocean all used canoe-type boats.

There were up to 150 different types of boats created from the first, primitive boat; in different times, different places

# ტრანსპორტი წყალზე

**ერთ დროს** დიდ მანძილზე გემით მოგზაურობა ისეთივე ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც სამსაათიანი ფრენა თვითმფრინავით. ვისაც ეგზოტიკა და კრუიზი ხიბლავს, გემით მოგზაურობაზე უარს არც ახლა ამბობს. 21-ე საუკუნეში გემი, ძირითადად, ტვირთის გადასაზიდად გამოიყენება. მეკობრეებიც გათანამედროვდნენ და „მხიარული როჯერის" დროშით იშვიათად დაცურავენ. იახტა  გართობისა და დასვენების კარგი საშუალებაა. ნავი მეთევზეებს და ტბაში, მცირე მანძილზე მოცურავეებს ხიბლავთ. ყოველი მათგანის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს. ყველაფერი კი დიდი ხნის წინ დაიწყო.

and for different purposes. Boats are divided into three main categories: boats that go with the flow, or are sailed using oars, specially equipped boats for long-time sailings and finally – motor boats.



Boats are divided into three main categories



You will come across boats in many cities across the world – tourists are taken sightseeing in several strokes of an oar. In Venice, gondolas are still a part of public transportation

## ნავები

კანოე ნავის უძველესი სახეობაა, რომლის აღმოჩენაც არქეოლოგებმა შეძლეს. აღმოჩენილი ნავი ქრისტეს შობამდე 8200-7600 წლით თარიღდება. ის ფიჭვის ხისგან იყო გამოთლილი. მეორე, უძველესი კანოე კი ჰოლანდიის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება.

ასეთი ტიპის ნავებს იყენებდნენ შუმერები, ძველი ეგვიპტელები და ინდოეთის ოკეანეს ქვეყნების წარმომადგენლები.



The oldest canoe carved from a pine-tree

პირველი, პრიმიტიული ნავიდან 150-მდე განსხვავებული სახეობის ნავი შეიქმნა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დანიშნულებით. ნავებს, ძირითადად, სამ კატეგორიად ყოფენ: ნავები, რომლებიც ან დინებას მიყვებიან, ან ადამიანი ნიჩბის საშუალებით მართავს; სპეციალურად აღჭურვილი ნავები, დიდხნიანი



Chaparral 244 Xtreme

ცურვისთვის და ბოლოს, მოტორიანი ნავები, ე.წ. „კატერები".

მსოფლიოს ბევრ ქალაქში შეხვდებით ნავებს, რომლებითაც ტურისტებს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებენ. ვენეციაში კი გონდოლას კვლავ აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშნულება. ქალაქის ლაგუნიდან გამომდინარე, გონდოლით გადაადგილება უფრო მარტივია.

ძირითადი განსხვავება ნავებსა და გემებს შორის მათი გამოყენების მიზანია. ნავი, მდინარეებისა და გაუმდინარე წყლებისთვისაა განკუთვნილი, გემი კი ზღვებისა და ოკეანეებისთვის. ზომა და დანიშნულებაც ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია. მსოფლიოში ყველაზე დიდი გადამზიდი გემი The Maersk Triple-E-ა. მის სრულად გადმოტვირთვას 30 საათი სჭირდება, 18 000 ერთი ზომის კონტეინერის გადატანა შეუძლია. შედარებისთვის, ამ ადგილზე დაეტევა 18 მილიონი ტელევიზორი, 182 მილიონი „აიპადი", ან 863 მილიონი ლობიოს თუნუქის ქილა.

# Boats are divided into three main categories

– considering the lagoon of the city transportation is easier on a gondola.

The main difference between boats and ships are the purpose of their use; a boat – is for rivers and still waters, while a ship is for seas and oceans. The size and purpose are also main points of difference. The Maersk 'Triple-E is largest carrier ship in the world. It takes 30 hours to fully unload it, it can transport 18 000 containers of the same size, for comparison, 18 million TVs, 182 million iPads, or 863 million cans of bean can fit in the same space.

Ships have had different purposes from the ancient times to now; they were used as weapon, most intensively. A strong fleet was a guarantee for victory. Ships of different designs were being made in different parts of the world.

Cruise – has become an integral part of tourism. Going to the sea for one or sometimes several days is a fashionable



In Venice, gondolas are still a part of public transportation

means of leaning more about the ocean. Cruise boats are very well equipped. At night some of them can be compared to floating cities, due to their size and design.

უძველესი დროიდან – დღემდე გემებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა გემი, როგორც საბრძოლო იარაღი. ძლიერი ფლოტი გამარჯვების საწინდარი იყო. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში განსხვავებული დიზაინის გემებს აგებდნენ.

კრუიზი, ტურიზმის განუყოფელი ნაწილი გახდა. ზღვაზე



USS George Washington (CVN-73) is one such, US Navy aircraft carrier in the Nimitz class of nuclear powered super carriers

## პირველი, პრიმიტიული ნავიდან 150-მდე განსხვავებული სახეობის ნავი შეიქმნა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას





The Maersk Triple-E is largest carrier ship in the world

ხეტიალი ერთი და ხანდახან, რამდენიმე დღის განმავლობაში ოკეანის უკეთ გაცნობის მოდური ხერხია. გემები, სპეციალურად კრუიზისთვის, საკმაოდ კარგად არის აღჭურვილი. ღამით ზოგიერთი მათგანი, ზომისა და დიზაინის გამო, შეიძლება წყალზე მოტივტივე ქალაქსაც შეადაროთ.



The longest cruise ships
MS Oasis of the Seas

## FACTS ABOUT SHIPS AND BOATS

- Cruise ships are often attacked by pirates;
- The longest cruise ships in the world belong to the Caribbean Sea basin. They're called MS Oasis of the Seas and MS Allure of the Seas.
- The number of people disappearing during cruises has increased

## ფაქტები გემებისა და ნავების შესახებ

- კრუიზის გემებს ხშირად ესხმიან თავს მეკობრეები
- მსოფლიოში ყველაზე გრძელი კრუიზის გემები კარიბის ზღვის აუზს ეკუთვნის. მათი სახელებია: MS Oasis of the Seas და MS Allure of the Seas
- 2000 წლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც კრუიზის დროს ქრებოდნენ. მოკითხვა მხოლოდ ბარგის აღებისას ხდება, ამიტომ, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი პოვნა და გადარჩენა



Sunseek
Predator 115







The ship
of Vikings

significantly since the year 2 000. People would only ask for them when it came to baggage claim and thus finding and saving them was practically impossible.

- Sunseek Predator 115 was announced the most expensive yacht at this year's boat exhibition, it is valued at 9 203 000 EUROS.
- The period between 1650 and 1720 was the golden age for the pirates.
- The Vikings had ships of unique design; they could change the course and direction easily, despite the length of the deck.
- The Caribbean Sea is the most attractive destination among tourists and cruise enthusiasts.

- 2013 წლის სანაოსნო გამოფენაზე ყველაზე ძვირ იახტად Sunseek Predator 115 დასახელდა; მისი ფასი 9 203 000 ევროა
- მეკობრეების „ოქროს ხანა" 1650-1720 წლებში იყო
- ვიკინგების გემებს უნიკალური დიზაინი ჰქონდათ – სიგრძის მიუხედავად, მათ კურსის შეცვლა ადვილად შეეძლოთ
- კარიბის ზღვა ყველაზე მიმზიდველია ტურისტებისა და კრუიზის მოყვარულთათვის



The beach of
Caribbean Sea

Utopia on a boat, otherwise –
a recipe for a mini-model of an ideal world

# from THOR HEYERDAHL

In this article you will learn about a strange and unusual man, Thor Heyerdahl.

A person who never recognized limits, in anything, who had his mind fixed on proving that the ocean and the sea were not barriers, but rather the most comfortable means of transporting anything that can maintain on surface, who persisted and built a sail float and decided to prove, against all scientific opinion, that transatlantic communication was possible even in the ancient times and the borders back then were much more conditional than they are now.

The first try, the float built in Egypt sank because of a construction defect

And he did.

Not on the first try (the float built in Egypt sank because of a construction defect),

Thor Heyerdahl aboard the Kon-Tiki



But on the second one!

He gathered seven crazy adventurers just like him, all of different skin color, nationality, religious and political views – to show everyone that such a "cocktail" would work perfectly in a tiny piece of space.

The only condition he had for the Norwegian, American, Italian, Japanese, Russian, Egyptian, Mexican and the Moroccan was – sense of humor! He said it was the best medicine and protection valve for a human being.

The goal was to cross the Atlantic Ocean on a sail-float made of straws.

Theorists laughed and laughed and called him an upstart and a pointless adventurer.

As if none of that happened!

The first failure taught him more than those people altogether.

After the unsuccessful attempt in Egypt he entrusted the construction of the boat to workers with genetic knowledge of how to do it and "Ra II" was built by two Indians from the Aymara Tribe, living close to Lake Titicaca with the help from their

> The story of "Ra II" is not an exception, or a particular adventure in the life of this unusual man

Moroccan assistants.

This was a single complete body, without knots and crossing lines.

Length – 12 meters, width – 5 meters, thickness – 2 meters; a cabin 4 meters long and 2.8 meters wide.

The sail – The Red Sun (the symbol of Ra, the God of sun).



Kon-Tiki is the true story of Thor Heyerdahl's legendary voyage from Peru to Polynesia in 1947

# უტოპია ნავზე, ანუ იდეალური სამყაროს მინი-მოდელის რეცეპტი
# ტურ ჰეიერდალისგან

**სტატიაში** უჩვეულო და უცნაური კაცს, ტურ ჰეიერდალს გაეცნობით.

ადამიანს, რომელიც საზღვრებს არ ცნობდა არასდროს და არაფერში, რომელმაც აიკვიატა, უნდა დავამტკიცო, რომ ოკეანე და ზღვა ბარიერი კი არა, ტრანსპორტირების ყველაზე მოსახერხებელი საშუალებაა, ყველაფრისთვის, რასაც ზედაპირზე გაჩერება შეუძლიაო, რომელმაც დაიჟინა და ააგო იალქნიანი ტივი და გადაწყვიტა სამეცნიერო მოსაზრების საწინააღმდეგოდ დაემტკიცებინა – ტრანსატლანტიკური კონტაქტები უძველეს დროშიც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო და საზღვრები მაშინ უფრო პირობითი იყო, ვიდრე დღესააო.

დაამტკიცა კიდეც.

პირველ მცდელობაზე ვერა (ეგვიპტეში აგებული ტივი კონსტრუქციის დეფექტის გამო ჩაიძირა),

მეორე მცდელობაზე – კი!

ადგა და შვიდი თავისნაირი ავანტურისტი და გადარეული შემოიკრიბა. თან სულ განსხვავებული კანის ფერის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულების და ეროვნების – აგერ ნახავთ, ასეთ „კოქტეილს" თანამშრომლობა და კარგად ყოფნა თუ არ გამოგვივა სულ ციცქნა სივრცეშიო.

ერთადერთი პირობა, რაც ნორვეგიელს, ამერიკელს, იტალიელს, იაპონელს, რუსს, ევიპტელს, მექსიკელს და მაროკოელს წაუყენა, იყო – იუმორის გრძნობა! სიცილი საუკეთესო მედიკამენტი და დამცავი სარქველია ადამიანისთვისო, ამბობდა.

მიზანი ჰქონდათ – ატლანტიკის ოკეანის გადაკვეთა ჩალის იალქნიანი ტივით.

ზეპურმა მეცნიერებმა იცინეს, იცინეს, სულ „ვისკაჩკა" და თავგადასავლების მაძიებელი ეძახეს.

ვითომც არაფერი!

პირველმა წარუმატებლობამ მეტი ასწავლა, ვიდრე იმათ, ყველამ ერთად.

ეგვიპტის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ხომალდის აგება

Place of departure – Saf, a city in Morocco.

Date of departure – May 17, 1970

The date when a Norwegian obsessed with the idea of "limitlessness" and his international team decided that: a conditional – skin color; a conditional – different religion; a conditional – politics; a conditional – boarder mean nothing, where there's a common goal.

After 57 days the crew heard the American bellow: The Earth! The Earth on the right board!

Thor Heyerdahl's unusual expedition reached its goal and against all established scientific opinions, proved that even in the ancient times, people had the opportunity to overcome great distances; that they could use the sea for all borders to lose their meaning.

The story of "Ra II" is not an exception, or a particular adventure in the life of this unusual man. Just read though his books - "FatuHiva" - Back to Nature, "The Kon-Tiki Expeditio", "Aku-Aku", "Ra", "Theories about Odin", "In Search of Our Beginnings" and you will understand how it's possible to break all existing dogmas and limits without even feeling steady ground under your feet.

How you can burn your child of 5 years, called "Tigris", as a form of protest.

How you should break the watch, or better yet, time, so that you can join the wilderness and finally, the Nobel Prize committee to set an after death Prize, in overcoming borders and limits and award Thor Heyerdahl with it.

Just for having said: "Borders? I have never seen one. But I have heard they exist, in the minds of some people".


The papyrus boat RA II

საქმის გენეტიკურად განპირობებულ მცოდნეებს მიანდო და „რა II" ტბა ტიტიკაკას სიახლოვეს მცხოვრებმა აიმარას ტომის ოთხმა ინდიელმა თავისი მაროკოელი თანაშემწეების დახმარებით ააგო.

ეს იყო ერთიანი, მთლიანი კორპუსი, კვანძების და გადამკვეთი ხაზების გარეშე.

12 მეტრი – სიგრძე, 5 მეტრი – სიგანე, 2 მეტრი სისქე; 4 მეტრი სიგრძის და 2.8 მეტრი სიგანის კაიუტა.

იალქანი – „წითელი მზე" (მზის ღმერთის, რას სიმბოლო).

გასვლის ადგილი – მაროკოს ქალაქი საფი.

გასვლის თარიღი – 1970 წლის 17 მაისი.

თარიღი, როცა ერთმა „უსაზვრობის" იდეით შეპყრობილმა ნორვეგიელმა და მისმა ინტერნაციონალურმა ნაკრებმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ: პირობითობა – კანის ფერი; პირობითობა – განსხვავებული რელიგია; პირობითობა – პოლიტიკა; პირობითობა – საზღვარი არაფერს ნიშნავს, თუ მიზანი ერთია.

57 დღის შემდეგ ეკიპაჟი ამერიკელის ღრიალმა გამოაყრუა The Earth! The Earth on the right board!

ტურ ჰეიერდალის უჩვეულო ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ უძველეს დროშივე ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეძლიათ უზარმზარი მანძილები

ტურ ჰეიერდალის უჩვეულო ექსპედიციამ მიზანს მიაღწია და, დამკვიდრებული სამეცნიერო შეხედულების საწინააღმდეგოდ, დამტკიცდა, რომ უძველეს დროშივე ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეძლიათ უზარმზარი მანძილები. გამოეყენებინათ ზღვა იმისთვის, რომ საზღვარს (ქართულში ეს სიტყვა როგორი კონოტაციურია) დაეკარგა თავისი ასეთი მნიშვნელობა.

„რა II"–ს ამბავი არ არის ამ უჩვეულო კაცის ცხოვრებაში გამონაკლისი და განსაკუთრებული თავგადასავალი.

გაეცანით მის წიგნებს – „ფატუ ხივა – ვუბრუნდები დედაბუნებას", „მოგზაურობა კონტიკიზე", „აკუ–აკუ", „რა", „ოდინის ძიებაში", „წარსულის კვალდაკვალ" და გაიგებთ, როგორ შეიძლება, ყველა არსებული დოგმა და საზღვარი გაარღვიო ისე, რომ ფეხქვეშ მყარ მიწასაც კი არ გრძნობდე, როგორ უნდა დაწვა საკუთარი 5 წლის პირმშო, სახელად ტიგრისი, პროტესტის ნიშნად, როგორ უნდა დაამტვრიო საათი და უფრო კი, დრო, მხოლოდ იმიტომ, რომ შეუერთე ველურ ბუნებას.

და ბოლოს, ნობელის მესვეურებმა დააწესონ სიკვდილის შემდგომი ჯილდო, საზღვრების და შეზღუდულობის დაძლევის დარგში და მიანიჭონ ეს ჯილდო ტურ ჰეიერდალს.

თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მან თქვა: „საზღვრები? არასდროს მინახავს ასეთი რამ.

მხოლოდ მსმენია, რომ ისინი არსებობენ ზოგიერთი ადამიანის ტვინში".

# 4 things not worth wasting your time on

# 4 რამ,
## რაზეც არ ღირს დროის დაკარგვა

### COMPUTER AND SOCIAL NETWORKS

The 21st century is the century of comfort. We are all equipped with the latest technological achievements and smart machines. We are practically surrounded by them. On the one hand, all of it saves time and eases our everyday troubles; on the other… it's the reason for complicating and even worsening our lives. Statistical data, sociological research, psychological conclusions and many other official documents of this sort illustrate how much time an average earthling spends and wastes surfing the internet, social networks and entertainment websites. Although observing our own selves (or those surrounding us) might as well be enough for the abstract statistics to become reality. People smile, talk, fight with, curse and even cuddle their monitors; a computer, which was supposed to be a tool for borderless, unlimited interactions and information sharing, has become the main reason for complete human isolation. It's a paradox – complete isolation within limitless communication. Existence in the textual, virtual world has become an alternative to reality. So far, it's only an alternative…

### კომპიუტერი და სოციალური ქსელი

21-ე საუკუნე კომფორტის საუკუნეა. ჩვენ ჭკვიანი მანქანებითა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევებით ვართ შეიარაღებულნი. ფაქტობრივად, მათ გარემოცვაში ვარსებობთ. ერთი მხრივ, ეს დროის ეკონომიაა და ცხოვრების გამარტივების საშუალება, მეორე მხრივ კი – ცხოვრების გართულების და ხარისხის გაუარესების მიზეზიც. სტატისტიკური მონაცემების, სოციოლოგიური გამოკვლევების, ფსიქოლოგების დასკვნების და უამრავი სხვა ასეთი ოფიციალური საბუთის მოყვანა შეიძლება აქ და ახლა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენ დროს ატარებს, კარგავს, ფლანგავს, აფუჭებს და ანიავებს საშუალოსტატისტიკური დედამიწელი ინტერნეტში, სოციალურ ქსელებსა და გასართობ საიტებზე. თუმცა, საკმარისი იქნება, საკუთარ თავს დავაკვირდეთ (ან ჩვენ ირგვლივ მყოფებს) და აბსტრაქტული სტატისტიკური მონაცემები ხორცს ჩვენსავე თვალწინ



### FLOW OF USELESS INFORMATION

Informational era, age of information – such formulation will probably be

most appropriate to describe the nearest future, just like the stone, copper and iron age. We live in a world that constantly offers and tells us things, informs us, tries to attract our attention by all possible means, from TVs, radios, magazines and newspapers, advertisements and many other channels of spreading information. Imagine the amounts of useless information our mind has to process and filter. The logical solution – stop this useless flow, don't waste time on learning bad, pointless information, save your energy and educational resources for other, more useful activities.

## TRAFFIC JAMS, ELEVATORS, QUEUES

If you were to make up a list of top 3 best quality time wasters and make a small survey – what do you lose most time in, the named factors would definitely be there. Traffic jams are a usual, everyday happening in large cities and settlements. At least an hour on the road has become



a norm during rush hour – roads and highways cannot handle increasing amounts of automobiles. If we imagine the result of all this metaphorically, we will end up with a gigantic fumigating, droning and puffing dragon laying over kilometers – not a very pleasant sight.



There are two options – you either avoid engaging in the craziness of the rush hour by using the underground, or your own two feet to move around, or do something pleasant and



შეისხამს. ადამიანები ულიმიან, ელაპარაკებიან, ეჩხუბებიან, უშვერი სიტყვებით ლანძღავენ ან ეფერებიან მონიტორს; კომპიუტერი, რომელიც რეალურად, საზღვრების გარეშე, შეუზღუდავი ურთიერთობის და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საშუალება უნდა ყოფილიყო, მათი სრული იზოლორების მთავარ საშუალებად იქცა. პარადოქსია – უსაზღვრო კონტაქტის პირობებში სრული იზოლაცია. ტექსტურ, ვირტუალურ სამყაროში არსებობა რეალურში ცხოვრების ალტერნატივად იქცა. ჯერ მხოლოდ ალტერნატივად...

დაიწყეთ რომელიმე უცხო ენის შესწავლა საცობების ხარჯზე – შეიძინეთ აუდიო თვითმასწავლებელი

## უსარგებლო ინფორმაციის ნაკადი

ინფორმაციული ხანა, საინფორმაციო ეპოქა, ინფორმაციის ერა – უახლოესი მომავლის აღმნიშვნელად, ქვის, სპილენძის და რკინის ხანების ანალოგიით სწორედ ამგვარი ფორმულირება ივარგებს, ალბათ. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც მუდმივად რაღაცას გვთავაზობს, რაღაცას გვიყვება, გვამცნობს, ცდილობს მიიპყროს ჩვენი ყურადღება, ყველა შესაძლო ხერხითა და საშუალებით, ტელევიზორებიდან, რადიოდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, სარეკლამო ბუკლეტებიდან და ინფორმაციის გავრცელების სხვა უამრავი არხიდან. წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის უსარგებლო ინფორმაციის გადამუშავება და გაფილტვრა უხდება ჩვენს გონებას. ლოგიკური დასკვნა – შეწყვიტეთ ეს უსარგებლო ნაკადი, ნუ დაკარგავთ დროს ფუჭი, არაფრისმომცემი ინფორმაციის მისაღებად, დაზოგეთ ენერგია და შემეცნებითი რესურსები სხვა, უფრო საჭირო აქტივობებისთვის.



useful instead. Start learning a foreign language on the cost of traffic jams for example – buy an audio book and follow the doctor's instructions out loud, enthusiastically. If we mind the increasing amount of automobiles and the speed at which infrastructure keeps developing, you will know a language more in around half a year – guaranteed. As of elevators and queues and useless expectations… the recipe is the same here – plug the earphones and… study, study and study!

## ILLUSIONS AND EXPECTATIONS, CRYING OVER THE PAST AND AN INDEFINITE FUTURE

If you are one of those people who constantly cry over their past, covered in the memories of the old days, thinking that all good has already happened and gone, you're definitely losing the valuable and unique moments of the present. Imagine a person rushing ahead, but looking back all the time. You will have heard a proverb – live in the now, since yesterday is gone and tomorrow might never be. It's slightly pessimistic, though. It is better formulated this way – advance is inevitable, thus the vector of movement from this second on should be aimed towards the future, not the past. Useless illusions, fantasies and dreams are also not worth wasting time. Reality is created by accidents, coincidences, real deeds and activities, successes and failures, goals and particular means of achieving them. If you don't want to spend the life waiting, you must let go of illusions and fantasies and expectations of a better tomorrow. Life is too short to be waiting for better days. Cease the better days here and now and enjoy the complete, diverse, interesting and wonderful present.

> The 21st century is the century of comfort

## საცობები, ლიფტი, რიგები

„დროის საუკეთესო ხარისხის მკარგველების" სამეული რომ შეადგინოთ და მცირე გამოკითხვა ჩაატაროთ – რაში კარგავთ ყველაზე მეტ დროს, დასახელებული ფაქტორები, უდავოდ, მოხვდებოდა ჩამონათვალში. დიდ ქალაქებსა და დასახლებებში საცობები ყოველდღიური, ჩვეული მოვლენაა. მინიმუმ ერთი საათი გზაში, პიკის საათის დროს – ნორმად იქცა, სამანქანო გზები და ტრასები ვერ უძლებს ავტომობილების მომატებულ რაოდენობას. ამ ყველაფრის შედეგი მეტაფორულად რომ წარმოვიდგინოთ, მივიღებთ – უშველებელ, კილომეტრებზე გაწოლილ მხრჩოლავ, მოგუგუნე, მქშინავ გველეშაპს – არცთუ საამო სანახაობაა. ორი ვარიანტია – პიკის საათებში ამ გიჟურ ორომტრიალში ჩაბმას უნდა მოერიდოთ და მეტრო ან საკუთარი ორი ფეხი გამოიყენოთ გადასაადგილებლად ან რაიმე სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობით დაკავდეთ. მაგალითად, დაიწყეთ რომელიმე უცხო ენის შესწავლა საცობების ხარჯზე – შეიძინეთ აუდიო თვითმასწავლებელი და ხმამაღლა, ომახიანად, ხალისით შეასრულეთ დიქტორის მითითებები. მანქანების მზარდ რაოდენობას და ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, ნახევარ წელიწადში ერთი უცხო ენით მეტი გეცოდინებათ – გარანტირებულად. რაც შეეხება ლიფტებს, რიგებს და უსარგებლო მოლოდინს… რეცეპტი აქაც იგივეა – ყურსასმენები და… სწავლა, სწავლა და სწავლა!



## ილუზიები და მოლოდინები, წარსულის გამოტირება და განუსაზღვრელი მომავალი

თუ ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინც გამუდმებით წარსულს მისტირის, გარდასულ დღეთა მოგონებებშია ჩაფლული ან ყველაფერი კარგი უკვე ჩავლილი და თავსგადახდენილი ამბავი ჰგონია, მაშინ, ერთმნიშვნელოვნად, უაზროდ ხარჯავთ აწმყოს ძვირფას და განუმეორებელ წუთებს. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც წინ მიიჩქარის, მაგრამ უკან–უკან იხედება. გაგონილი გექნებათ სენტენცია – იცხოვრე დღევანდელი დღით, რადგან გუშინდელი აღარ არის, ხვალინდელი კი შეიძლება საერთოდაც არ იყოს. ცოტა პესიმისტური ფრაზაა. ასე ჯობია – წინსვლა გარდაუვალია, ამიტომ მოძრაობის ვექტორი ამ წამიდან წინ, მომავლისკენ უნდა იყოს მიმართული და არა უკან. არც ფუჭ ილუზიებზე, ფანტაზიებსა და ოცნებებზე ღირს მაინდამაინც ბევრი დროის დაკარგვა. რეალობას შემთხვევითობები, დამთხვევები, რეალური საქმეები და აქტივობები, წარმატებები და წარუმატებლობები, მიზნები და ამ მიზნის მისაღწევი კონკრეტული საშუალებები ქმნის. თუ არ გინდათ ცხოვრების გახარჯვა ლოდინში, უნდა შეეშვათ ილუზიებისა და ფანტაზიებს, უკეთესი ხვალინდელი დღის ლოდინს. ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ ველოდოთ უკეთეს დღეებს. მოიწყვეთ ეს უკეთესი დღეები აქ და ახლა და ისიამოვნეთ სრულფასოვანი, მრავალფეროვანი, საინტერესო და არაჩვეულებრივი აწმყოთი.

LEMFÖRDER



# Replacement Parts in Original Equipment Quality

LEMFÖRDER sets standards in safety and quality. The automotive industry has confidence in this and shows its appreciation to the brand by way of a partnership in original equipment which has already lasted for decades.
You too can put trust in LEMFÖRDER.

LEMFÖRDER – Safety in Steering and Suspension

ZF

LEMFÖRDER is a brand of ZF

www.zf.com



☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...



# THE FIRST –
## automobile, motor show, car race and racer

## პირველი – ავტომობილი, ავტოშოუ, ავტორბოლა, ავტომრბოლელი

People sat down at the steering wheel for the first time centuries ago. We were too late and will never experience the happiness from seeing the first automobile. Or on the contrary, we were born at such a good time that we can easily recall the decisive facts in the history of automobiles.

### THE FIRST AUTOMOBILE

When was the first automobile created? There are many debates on the subject. It's hard to name a particular date. It's even harder to agree whether we consider a steam-powered transport an automobile... The history of automobiles starts with Leonardo da Vinci. Several centuries later, an automobile starts to operate on a steam engine. There were many changes in the automobile industry from the eighteenth to the nineteenth century, all for the better, of course. According to history, the first ever automobile operating on the kind of engine we use today was patented on December 29, 1886 by two people in different cities of Germany. The automobile patented by Karl Benz had three wheels and the one by Gottlieb Daimler had four.

საუკუნეების წინ ადამიანები პირველად სხდებოდნენ საჭესთან. ჩვენ დავაგვიანეთ და ვერასდროს განვიცდით იმ სიხარულს, რაც პირველი ავტომობილის ხილვას მოჰყვება; ან პირიქით, იმდენად კარგ დროს დავიბადეთ, რომ ადვილად შეგვიძლია ავტომობილის ისტორიაში გადამწყვეტი ფაქტების გახსენება.

### პირველი ავტომობილი

როდის შეიქმნა პირველი ავტომობილი? ამაზე ბევრს ბჭობენ. ძნელია, ზუსტი თარიღი დაასახელო. უფრო ძნელი კი იმაზე შეთანხმებაა, მიგვაჩნია თუ არა ორთქლზე მომუშავე ტრანსპორტი ავტომობილად... ავტომობილის ისტორია, ლეონარდო და ვინჩისთან ერთად იწყება. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ავტომობილი ორთქლის ძრავაზე იწყებს მუშაობას. მეთვრამეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე ავტოინდუსტრიაში ბევრი ცვლილება მოხდა, რა თქმა უნდა – სასიკეთო. ისტორიის მიხედვით, პირველი ავტომობილი, სწორედ ისეთ ძრავაზე მომუშავე, როგორსაც დღეს ვიყენებთ, 1886 წლის 29 დეკემბერს დააპატენტა ერთდროულად ორმა ადამიანმა, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში. კარლ ბენცის დაპატენტებული ავტომობილი სამთვლიანი იყო, გოთლიბ დაიმლერის ავტომობილი კი – ოთხთვლიანი.



The automobile
by Gottlieb Daimler

## The first ever automobile operating on the kind of engine we use today was patented on December 29, 1886 by two people in different cities of Germany






The automobile
by Karl Benz

### THE FIRST EVER MOTOR SHOW

The first motor show was held in Paris in 1898. At first the show took place in October, annually, however, since 1976 its founders decided to arrange it once every 2 years. Albert de Dion is the founder of the most important day for automobile enthusiasts. He was the pioneer of automobile industry in France. The event used to be called Salon de l'Automobile and is now referred to as Mindial de l'Automoble. As a rule, the show is held at Paris Expo.





### პირველი ავტოშოუ მსოფლიოში

1898 წელს პარიზში პირველი ავტოშოუ მოეწყო. თავიდან ღონისძიება ოქტომბრის თვეში, ყოველ წელს იმართებოდა. თუმცა, 1976 წლის შემდეგ, მისმა დამფუძნებლებმა შოუს გამართვა 2 წელში ერთხელ გადაწყვიტეს. ავტომოყვარულთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ალბერტ დე დიონმა დააარსა. საფრანგეთში ის ავტოინდუსტრიის პიონერი გახლდათ. თავიდან Salon de l'Automobile ახლა Mondial de l'Automobile–დ იწოდება. შოუ, წესისამებრ, „პარიზ ექსპოში" იმართება.



Émile Levasseur – a French engineer and a pioneer of the automobile industry and car racing in France

## THE FIRST AUTOMOBILE RACE

The first race was arranged on June 13, 1895. Émile Levasseur was the first racer. He drove a Panhardet Levassor – with a two cylinder engine and 4 horsepower – this automobile managed to cover 732 miles in 49 hours. It could accelerate up to a wonderful speed for the time – 15 miles per hour.

The Paris-Bordeaux-Paris race inspired the French automobile enthusiasts to establish the club first and then the Formula 1 Grand Prix.

## პირველი ავტორბოლა

1895 წლის 13 ივნისს პირველი ავტორბოლა გაიმართა. ემილ ლევასო პირველი მრბოლელი იყო. ის Panhard et Levassor-ის ავტომობილს იყენებდა. ორცილინდრიანი, ოთხი ცხენის ძალით – ამ ავტომობილმა 732 მილის დაფარვა 49 საათში მოახერხა. იმ დროისთვის შესანიშნავ სიჩქარეს, 15 მილს საათში ავითარებდა. Paris-Bordeaux-Paris-ის რბოლამ შთაგონება მისცა ფრანგ ავტომოყვარულებს, რომ ჯერ კლუბი, შემდეგ კი ფორუმლა 1-ს „გრანდ პრიქსის" თასი დაეარსებინათ.

Émile Levassor
(Detal of monument), Paris



## WORLD'S FIRST RACER

Émile Levasseur was a French engineer. He was a pioneer in the automobile industry and also, the first ever racer. He engaged in mechanical engineering at an early age. He revealed his love towards automobiles in racing. He participated in the world's first automobile race and, according to historical resources, he is the first racer. He always participated in the race with his automobile. In 1896 he got in an accident during the Paris-Marseille-Paris race. A dog ran across the street in front of the car, Levasseur wanted to avoid it. The dog survived, but he got seriously hurt. He never fully recovered from the accident and died the same year.

## მსოფლიოს პირველი ავტომრბოლელი

ემილ ლევასო ფრანგი ინჟინერი იყო. პიონერი – მანქანათმშენებლობის ინსდუსტრიაში და ასევე, პირველი მრბოლელი. მანქანათმშენებლობაში ადრეული ასაკიდანვე ჩაერთო. მსოფლიოში პირველ რბოლაში მონაწილეობაც მიიღო და როგორც ისტორიული წყაროები იუწყებიან, სწორედ ის არის პირველი მრბოლელიც. რბოლაში ყოველთვის საკუთარი კომპანიის ავტომობილით მონაწილეობდა. 1896 წელს კი „პარიზი-მარსელი-პარიზის" რბოლაში ავარიაში მოყვა. ავტომობილს ძაღლმა გადაურბინა, ლევასოს უნდოდა გვერდი აექცია; ძაღლი გადარჩა, მაგრამ თავად სერიოზულად დაშავდა. ავტოკატასტროფის შემდეგ ვერ გამოჯანმრთელდა და იმავე წელს გარდაიცვალა.

ego Elit Club

GEORGIA

10

## **PORSCHE** 918 Spyder – **845,000 $**



They even say Porsche 918 Spyder is faster than a banknote counter. This car of a modest price for a Posche has 887 horsepower and a hybrid engine is what makes it so special. Porsche presented this model at the Geneva Motor Show for the first time.

ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ Porsche 918 Spyder ბანკის ფულის სათვლელ ავტომობილზე სწრაფია. „პორშესთვის“ მოკრძალებული ფასის ავტომობილს 887 ცხენის ძალა აქვს. გამორჩეულს კი მას ჰიბრიდული ძრავა ხდის. პირველად ეს მოდელი „პორშემ“ ჟენევაში, ავტოშოუზე წარადგინა.

9

## **MCLAREN** P1 – **1,100,000 $**



217 miles per hour – this is the maximum speed of the McLaren P1. This sports car has many details from its predecessor – F1, which is easy to notice visually. The society saw McLaren P1 at the Goodwood Festival of Speedin 2013 with Jenson Button at the wheel.

217 მილი საათში – ეს McLaren P1-ის მაქსიმალური სიჩქარეა. სპორტულ ავტომობილს წინამორბედის, F1-ის ბევრი დეტალი აქვს, ეს ვიზუალურადაც კარგად ჩანს. საზოგადოებამ McLaren P1-ი 2013 წელს Goodwood Festival Of Speed-ზე ნახა, მას ჯენსონ ბუტონი მართავდა.

Before those who are obliged to do so, make up the list of the most expensive automobiles of the year 2013, we can look through and see ten most expensive automobiles of 2013

# The most expensive automobiles of the year 2013



## წლის ყველაზე ძვირადღირებული ავტომანქანები

სანამ ისინი, ვისაც ეს ევალება 2013 წლის ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილების სიას შეადგენდნენ, თვალი გადავავლოთ და ვნახოთ, რომელი ათი ავტომობილი ითვლება 2013 წელს ყველაზე ძვირადღირებულად

# 9 HENNESSEY Venom GT – 1,100,000 $



Along with McLaren P1 there's also Hennessey Venom GT on the ninth position of this list. It too is of course valued at 1.1 million dollars. If the accelerator at CERN has issues all of a sudden, Hennessey Venom GT can replace it easily. This is an automobile of unbelievable possibilities.

სიის მეცხრე ადგილს McLaren P1-თან ერთად Hennesey Venom GT იკავებს. რა თქმა უნდა, ისიც 1.1 მილიონადაა შეფასებული. თუ „ცერნში" აქსელერატორს პრობლემა შეექმნებათ, HenneseyVenom GT-ს შეუძლია მისი მაგივრობა გასწიოს. ეს არის ავტომობილი, დაუჯერებელი შესაძლებლობებით.

# 8 ZENVO ST 1
## 1,200,000 $



You probably think that Denmark is only famous for Prince Hamlet. When it comes to the subject of being or not being, Zenvo ST 1 must definitely be! The aggressive visuals comprehend with the possibilities of this automobile completely. They say it's a real "monster".

ალბათ გგონიათ, რომ დანია მხოლოდ პრინცი ჰამლეტით არის ცნობილი. არადა, ყოფნა არ ყოფნის საკითხში, Zenvo ST 1 ულაპარაკოდ უნდა იყოს! აგრესიული ვიზუალი ავტომობილის შესაძლებლობებს ამართლებს. როგორც ამბობენ, ნამდვილი „მხეცია".

# 7 MAYBACH Landaulet – 1,300,000 $

Maybach Landaulet – is the kind of a car, monarchs and rappers should have. It resembles a limousine, it's a cabriolet and has a salon separated from the driver's seat. It's not as fast as the other two automobiles occupying the 7th place, but it's worth paying the price, if, of course, you're either a monarch or a rapper.



Maybach Landaulet – სწორედ ისეთია, მონარქებს და რეპერებს რომ შეშვენით. თითქოს ლიმუზინს ჰგავს, კაბრიოლეტის ტიპისაა და მძღოლისგან გამოყოფილი სალონი აქვს. არც ისე სწრაფია, როგორც დანარჩენი ორი, მეშვიდე ადგილოსანი, მაგრამ ამ ავტომობილში ფასის გადახდა ღირს, თუ, რა თქმა უნდა, ან მონარქი ხართ, ან რეპერი.

## **FERRARI** La Ferrari – 1,300,000 $

7

Ferrari La Ferrari – 789 horsepower! This limited edition sports car was presented at the Geneva Motor Show in 2013. They say Ferrari will only offer 499 models of Ferrari La Ferrari… for 499 lucky

Ferrari La Ferrari – 789 ცხენის ძალით! ლიმიტირებული რაოდენობის სპორტული ავტომობილი ჟენევის ავტოშოუზე 2013 წელს წარადგინეს. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „ფერარი" Ferrari La Ferrari-ს მხოლოდ 499 მოდელს შემოგვთავაზებს… მხოლოდ იღბლიანი ადამიანებისთვის.





## **PAGANI** Huayra – 1,300,000 $

7

Pagani Huayra – Yes, pronouncing the name of this automobile is a bit hard a duty. What catches the eye is the design, wing-like doors and mirrors like antennas. Clearly this sports car has many honorable features.



Pagani Huayra – დიახ, რთულია ამ ავტომობილის სახელის წარმოთქმა. ის, რაც ერთი შეხედვით, თვალში გხვდება – მისი დიზაინია, ფრთებივით კარები და ანტენებივით სარკეები. რა თქმა უნდა, ამ სპორტულ ავტომობილს ბევრი ღირსება აქვს.

## **KOENIGSEGG** Agera R – 1,600,000 $

6



It's up to you to test whether its rumor or truth, but they say that when Koenigsegg Agera R goes out to the Volvo test race track the staff drinks coffee thinking how dangerous it is to be driving such an automobile. Little do they know that that's the most appealing part for automobile enthusiasts.



ჭორია, თუ მართალი, თავად უნდა გამოსცადოთ. ამბობენ, როცა Koenigsegg Agera R „ვოლვოს" საცდელ ავტოდრომზე გადის, თანამშრომლები ყავას სვამენ და იმაზე ფიქრობენ, როგორი სახიფათოა, მართავდე ასეთ ავტომობილს. მაგრამ მათ ხომ არ იციან, რომ ავტომოყვარულებისთვის სწორედ ეს არის მიმზიდველი.

## **LAMBORGHINI** Reventon – 1,610,000 $



5

This automobile is a true fighter, if we judge by its name. Interior – is what is mentioned right after its capabilities. This super-automobile can accelerate up to 220 miles per hour.

სახელიდან გამომდინარე ეს ავტომობილი ნამდვილი მებრძოლია. ინტერიერი– სწორედ ესაა, რასაც მისი შესაძლებლობების შემდეგ აღნიშნავენ. სუპერავტომობილი 220 მილს საათში ავითარებს.

## **ASTON MARTIN** One-77 – 1,800,000 $

4

The creators of Aston Martin One-77 happened to be more generous and released 77 units of this car. If you're lucky or if you're James Bond, this is the automobile for you.

Aston Martin One-77-ის შემქმნელები უფრო გულუხვნი აღმოჩნდნენ და მანქანის 77 ეგზემპლიარი შექმნეს. თუ იღბლიანი ადამიანი ხართ, ან ჯეიმს ბონდი, ეს ავტომობილი თქვენთვისაა.



## **PAGANI** Zonda Cinque Roadster – 1,800,000 $

There's another Pagani automobile of an unusual design on this list. Automobile enthusiasts might be more interested in the features of Aston Martin, but undoubtedly the unusual design and the limited amount of Pagani Zonda Cinque Roadster will reflect on its price: there are only five automobiles available for Pagani fans.

სიაში Pagani-ს უცნაური დიზაინის კიდევ ერთი ავტომობილი მოხვდა. ავტომოყვარულთათვის, შეიძლება Aston Martin-ის ღირსებები უფრო საინტერესო იყოს, მაგრამ უდავოა: უცნაური დიზაინი და Pagani Zonda Cinque Roadster-ის ლიმიტირებული რაოდენობა ფასზეც აისახება: მხოლოდ ხუთი ცალი ავტომობილი Pagani-ს თაყვანისმცემლებისთვის.

4



## **BUGATTI** Veyron Grand Sport Vitesse – **2,600,000 $**

Bugatti holds the third place on this list. We are all aware of the features of this sports car... the only flaw it has, is the top, or lack thereof. Speed+no roof and you will understand what it's like to have your scalp removed in aerodynamics.

სიის მესამე ადგილს ისეთი ავტომობილი იკავებს, როგორიც Bugatti-ა. ამ სპორტული ავტომობილის ღირსებები ყველამ კარგად ვიცით... ერთი ნაკლი კი, მისი სახურავია, უფრო ზუსტად, უსახურავობა. სიჩქარეს + უსახურავობა და თქვენ ნამდვილად მიხვდებით, როგორია აეროდინამიკულად სკალპის ახდა.

3







## **W MOTORS** Lykan Hyper sport – **3,400,000 $**

One can barely say anything about this automobile, other than it represents the Lebanese automobile industry. It's maximum speed, engine size and... front lights covered in diamonds (!) are to be noted.




2

ამ ავტომობილზე თითქმის ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ ლებანონის ავტოინდუსტრიის წარმომადგენელია. შეიძლება თქვა – მისი მაქსიმალური სიჩქარე, ძრავის ზომა და... კიდევ უნდა აღნიშნო წინა სანათები. ალმასებით დაფარული!







## **LAMBORGHINI** Veneno
## 4,000,000 $

And finally, Lamborghini Venenoholds the first place. It is valued at 4 million dollars. It might not be the most beautiful automobile by this brand, but it is amazingly sophisticated… It has unimaginable forms. You think you're looking at computer graphics, when actually, it's real! And before you wish to drive it, I must disappoint you by saying that there are only three Lamborghini Veneno's and all of them have already been sold.

1

და ბოლოს, პირველ ადგილს Lamborghini Veneno იკავებს. მისი ღირებულება 4 მილიონი დოლარია. შეიძლება ეს არ არის ამ ბრენდის ყველაზე ლამაზი ავტომობილი, მაგრამ ის საოცრად დახვეწილია, საოცრად… წარმოუდგენელი ფორმები აქვს. გგონია, რომ კომპიუტერულ გრაფიკას უყურებ, არადა, ნამდვილია! და სანამ, თქვენც ისურვებდით მის მართვას, გულს დაგწყვეტთ და გეტყვით, რომ Lamborghini Veneno მხოლოდ სამი ცალი არსებობს. სამივე გაყიდულია.



## **FERRARI** 250 GTO – 52,000,000 $

The most expensive automobile in the world is the Ferrari 250 GTO released in 1963. It didn't end up on this list for one simple reason – you wouldn't have been able to buy one even if you could afford it. Ferrari no longer manufactures it. They say there are 39 of them, all built manually. It is valued at 52 million dollars.

---

მსოფლიოს ყველაზე ძვირი ავტომობილი კი, 1963 წელს გამოშვებული Ferrari 250 GTO-ა. სიაში ის ერთი მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხვდა, რომც გინდოდეთ, ვერ შეიძენთ. „ფერარი" მას აღარ აწარმოებს. როგორც ამბობენ, 39 ცალი ხელით არის აწყობილი. მისი ღირებულება 52 მილიონს შეადგენს.






• MAGAZINE FOR SMART, STRONG AND TASTEFUL MEN •

+995.32.2.946446 • info@ego.com.ge • facebook.com/EGO.mag

FlitMedia publishing house


ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი
დააზღვიეთ ავტომობილი
და მიიღეთ
100, 200 ან
300 ლარი
სასაჩუქრე ბარათზე.
გუდვილი
კარფური
გალფი
ვისოლი
2 505 111